დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი (ები) 2026 წლის 8-9 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი:

15.07.2026

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მითითებით	**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205224700**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დარიო კომპანიონე, ტერამოს უნივერსიტეტი, იტალია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე კახნიაშვილი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ სანიკიძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ტექსინფორმი), სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მხეიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	სასურსათო ტექნოლოგია	სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია	სასურსათო ტექნოლოგია	სურსათის უვნებლობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Food Technology	Food Science and Technology	Food Technology	Food Safety
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი	მეცნიერების ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში	სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი	სურსათის უვნებლობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სურსათის გადამუშავება 0721	სურსათის გადამუშავება 0721	სურსათის გადამუშავება 0721	სურსათის გადამუშავება 0721
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება				
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	241	241	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/	ახალი	ახალი	ახალი	ახალი

პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)				

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი აქვს სურსათის ტექნოლოგიის, სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის და სურსათის უვნებლობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი. კლასტერი მოიცავს ორ საბაკალავრო და ორ სამაგისტრო პროგრამას, რომელთა განხორციელების უფლებამოსილება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, რომლის მიზანია საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური შესაძლებლობების გაძლიერება და განაწილება. აღნიშნულ პროგრამებს აქამდე ახორციელებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო ამჟამად პროგრამები შემოთავაზებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

კლასტერში პროგრამები დაჯგუფებულია საერთო დისციპლინური ფოკუსის, აკადემიური შინაარსის მსგავსების, საერთო ადამიანური და მატერიალური რესურსების და სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროში თანმიმდევრული განათლების შეთავაზების საფუძველზე. ერთობლივად, პროგრამები პასუხობენ სურსათის უვნებლობასთან, სურსათის ხარისხთან, ტექნოლოგიურ ინოვაციებთან და აგროსასურსათო სექტორში კადრების განვითარებასთან დაკავშირებულ ეროვნულ პრიორიტეტებს.

კლასტერი მოიცავს სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო, სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო, სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო და სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმები, სწავლის შედეგები და სტრუქტურა ეფუძნება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტებულ და ადრე მოქმედ პროგრამებს და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და შესაბამის დარგობრივ აღმწერებთან.

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის სურსათის წარმოების ტექნოლოგიების, სურსათის გადამუშავების, ხარისხის უზრუნველყოფის და მონათესავე ტექნოლოგიური დისციპლინების შესახებ საბაზისო და გამოყენებითი ცოდნის გადაცემას. სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სასურსათო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საგნებს, რაც მიზნად ისახავს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ სურსათის წარმოების, პროდუქტის განვითარების და ხარისხის მართვის თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირება.

სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს გადასცეს მაღალი დონის ცოდნა და განუვითაროს კვლევაზე ორიენტირებული კომპეტენციები სურსათის წარმოების და გადამუშავების ტექნოლოგიების

სფეროში. სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია სურსათის ხარისხის მართვაზე, სურსათის საკანონმდებლო ჩარჩოზე, რისკის შეფასებაზე და სურსათის სისტემებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასპექტებზე, რაც ასახავს დარგში კვალიფიციური სპეციალისტების მზარდ მოთხოვნას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.
მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამების აკადემიური შინაარსი გამომდინარეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტებული პროგრამებიდან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქამდე არ ახორციელებდა აგრარული მეცნიერებების, სასურსათო ტექნოლოგიების და სურსათის უვნებლობის პროგრამებს. შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესი ფოკუსირებული იყო არა მხოლოდ პროგრამების აკადემიურ შინაარსზე, არამედ უნივერსიტეტის მიერ პროგრამების წარმატებით განხორციელების შესაძლებლობაზე და პასუხისმგებლობაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობაზე, ლაბორატორიების და სასწავლო ინფრასტრუქტურის შესაბამისობაზე, ინსტიტუციურ მხარდამჭერ მექანიზმებზე, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებზე და პროგრამების სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციფიკასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან ადაპტაციაზე.
წარმოდგენილ კლასტერს შეუძლია გაამრავალფეროვნოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პორტფელი და დააკმაყოფილოს სასურსათო სექტორში ადგილობრივ კადრებზე არსებული მოთხოვნა. თუმცა, პროგრამების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია უნივერსიტეტის შესაძლებლობაზე, შექმნას პროგრამების მდგრადი განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური, ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული პირობები. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამები ახალია და ჯერ არ განხორციელებულა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შეფასება ძირითადად მიმართული იყო უნივერსიტეტის მზადყოფნაზე და გარდამავალ პერიოდში პროგრამების მხარდაჭერის შესაძლებლობის შეფასებაზე.
შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესი მიზნად ისახავდა როგორც პროგრამების აკადემიური თანმიმდევრულობის, ისე ინსტიტუციური მზაობის შეფასებას საგანმანათლებლო და კვლევით გარემოში პროგრამების ინტეგრირების და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2026 წლის 8 - 9 ივნისს სასურსათო ტექნოლოგიის და სურსათის მეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტში აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტს ესწრებოდნენ ადგილზე, ხოლო თავმჯდომარე მონაწილეობდა დისტანციურად. ვიზიტი მოიცავდა სასურსათო ტექნოლოგიის და საურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო და სასურსათო ტექნოლოგიის და სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველ შესწავლას და

შეფასებას. აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები უნივერსიტეტის მმართველ გუნდთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ასევე განხორციელდა პროგრამებისთვის განკუთვნილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსების დათვალიერება.

ვიზიტი 8 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრით დაიწყო, რასაც მოჰყვა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის ვიცე - რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და ბიზნესის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის წარმომადგენლებთან. დისკუსიები ფოკუსირებული იყო ინსტიტუციურ მმართველობაზე, სტრატეგიულ განვითარებაზე, რესურსების განაწილებაზე და უმაღლესი განათლების მიმდინარე რეფორმის ფარგლებში დაწესებულებისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მხარდამჭერ მექანიზმებზე.

შემდგომ, გაიმართა შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა თვითშეფასების პროცესი, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, პროგრამის განვითარება და ინსტიტუციური მხარდამჭერი სერვისები. ჩატარდა ინდივიდუალური შეხვედრები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტებმა განიხილეს პროგრამის მიზნები, სასწავლო გეგმის დიზაინი, სწავლის შედეგები და განათლების ხარისხის მონიტორინგის და გაუმჯობესების მექანიზმები.

შუადღეს ჩატარებული შეხვედრები მოიცავდა ინტერვიუებს პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან. აღნიშნული ინტერვიუები ფოკუსირებული იყო სწავლების მეთოდოლოგიებზე, კვლევით საქმიანობაზე, სტუდენტების შეფასების პრაქტიკაზე, ხელმძღვანელობის პროცედურებზე და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე. ექსპერტთა ჯგუფი ასევე შეხვდა პროგრამის განმახორციელებელ მოწვეულ პერსონალს და კვების ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორიდან წარმოდგენილ დამსაქმებლებს, იმისათვის, რომ მიეღოთ ინფორმაცია შრომის ბაზრის საჭიროებების, კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების და ინდუსტრიის ჩართულობის შესახებ.

მომდევნო დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამებისთვის განკუთვნილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები, მათ შორის ლაბორატორიები, სასწავლო ინფრასტრუქტურა და საბიბლიოთეკო სერვისები. შემდგომ გაიმართა შეხვედრა აკრედიტებული პროგრამების სტუდენტებთან, იმისათვის, რომ ექსპერტებს მიეღოთ ინფორმაცია მათი სასწავლო გამოცდილების, აკადემიური მხარდაჭერის, რესურსების ხელმისაწვდომობის და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულობის შესახებ.

აღნიშნული შეხვედრების შემდგომ, ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის მონიტორინგის პროცედურები და უწყვეტი გაუმჯობესების ღონისძიებები.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა და შეაჯერა პირველადი მიგნებები, რომლებიც წარედგინა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მოიპოვა მტკიცებულებები საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, ინსტიტუციური მხარდამჭერი მექანიზმების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების, ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ. თუმცა, შეფასება გართულდა იქედან გამომდინარე, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სასწავლო გეგმები, კურსების სილაბუსები, პერსონალის განაწილება და დამხმარე მასალები გამომდინარეობდა საქართველს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტებული პროგრამებიდან, რომელბიც სათანადოდ არ იყო მორგებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციფიკას, რესურსებს და აკადემიურ გარემოს.
შესაბამისად, ვიზიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროგრამების განხორციელების შესაძლებლობაზე, აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობაზე და ჩართულობაზე, სასწავლო რესურსების ადეკვატურობაზე და პროგრამების სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუციურ ჩარჩოში ინტეგრირებაზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ინტერვიუების, უშუალო დაკვირვების, დამატებითი გამოთხოვილი დოკუმენტაციის და შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გარკვეული მტკიცებულებები უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების მზაობის და ნების შესახებ. მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა ვერ მოხერხეს გადაემოწმებინათ, თუ რამდენად იყო პროგრამები მორგებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციფიკას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გადმოტანის შემდგომ. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შეგროვებული მტკიცებულებები საფუძვლად დაედო ჯგუფის შეფასებას და გაცემულ რეკომენდაციებს, კვლავ ბუნდოვანი რჩება გარდამავალი პროცესის პრაქტიკული განხორციელების და გრძელვადიანი მდგრადობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება კლასტერს და ზოგადად დაწესებულებას, პროგრამების განხორციელების ვადებს, პერსონალის დანიშვნის პროცედურებს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ინფორმაციის გაცვლას, პერსონალის ახალ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადაპტაციას, პროგრამებისთვის ინფრასტრუქტურის ერთობლივი გამოყენების შესახებ მკაფიო შეთანხმებების საჭიროებას და ბიუჯეტის სათანადო განაწილებას და განსაზღვრას. რეკომენდაციების უმეტესობა უნდა განხორციელდეს მოკლე ვადაში, იმისათვის რომ პირველი კურსის სტუდენტებს მიეცეთ ხარისხიანი განათლების მიღების და საკუთარი საუნივერსიტეტო

გზის სათანადო გააზრების შესაძლებლობა. აღნიშნული შეფასების თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც განპირობებულია საგანმანათლებლო სისტემის რეფორმით, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ კომპონენტების უმეტესობა შეეფასებინა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“, ამასთან, კვლავ არსებობს გარკვეული შეშფოთება, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი კლასტერის პროგრამების სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათანადო განხორციელება მომდევნო აკადემიური წლიდან.

- **რეკომენდაციები**

კლასტერული:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს კვალიფიკაციების ინგლისურენოვანი სახელწოდებები, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და საერთაშორისოდ აღიარებულ კვალიფიკაციების ჩამონათვალთან შესაბამისიობა.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები, იმისათვის, რომ ადეკვატურად გაიმიჯნოს "სასურსათო ტექნოლოგიის" და "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" პროგრამების კურსდამთავრებულების კვალიფიკაციები და მკაფიოდ აისახოს თითოეული პროგრამის სპეციფიკური აკადემიური და პროფესიული პროფილი (1.2).
- რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების და გაუმჯობესების მკაფიოდ დოკუმენტირებული მექანიზმი, მათ შორის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და დამსაქმებლებისგან სანდო უკუკავშირის შეგროვების გამჭვირვალე პროცედურები, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების და პროგრამის აქტუალურობის შეფასებას. (1.3)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურა და სილაბუსები და შესაბამისობაში მოვიდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიებთან, მათ შორის მოთხოვნილ ფორმატთან, წინაპირობებთან, კრედიტების და საათების განაწილებასთან და უნივერსიტეტის 15 კვირიან აკადემიურ კალენდართან (1.4).
- რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამების საერთო მოცულობა და უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო გეგემების შესაბამისობა 240 კრედიტის მოცულობის სტანდარტულ ოთხწლიან სასწავლო დატვირთვასთან,

გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი კრედიტისთვის წარმოდგენილი იქნება მკაფიო აკადემიური დასაბუთება. (1.4)

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამებს შორის და უშუალოდ პროგრამებში გამოვლენილი იდენტური შინაარსის მქონე სასწავლო კურსები, იმისათვის რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო კურსისი შინაარსი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო დონეზე (1.5).
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს და ოფიციალურად გააფორმოს თანამშრომლობა შესაბამის დამსაქმებლებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და ინდუსტრიის პარტნიორებთან მდგრადი პარტნიორული მექანიზმების მეშვეობით, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს პრაქტიკული სწავლების, სტაჟირების, გამოყენებითი კვლევითი აქტივობების და საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტების ეფექტურ განხორციელებას, რაც ამავე დროს უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებებთან (2.2).

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაინერგოს აკადემიური ციტირების ერთიანი სტანდარტი და მკაფიოდ აისახოს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში, ასევე გაძლიერდეს მისი პრაქტიკული გამოყენება სტუდენტების კვლევით ნაშრომებში. (2.4)
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს, დააზუსტოს და ოფიციალურად დაადასტუროს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა. (4.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მონაცემები სამუშაო დატვირთვის განაწილების, აფილირების და პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პერსონალის აკადემიური და პროფესიული პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და მდგრადობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას. (4.1)
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს და ოფიციალურად უზრუნველყოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და ხარისხის უზრუნველყოფის, პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების და მხარდამჭერ მექანიზმებში და ღონისძიებებში მათი სისტემატური მონაწილეობა. (4.3)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აჩვენოს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს სათანადო ინფორმაციას ინსტიტუციური რეგულაციების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების და პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ (4.3).
- რეკომენდებულია, ლექციების განრიგი განისაზღვროს და ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ 2026 - 2027 წლებში ჩარიცხულმა აქტიურმა და მოქმედმა სტუდენტებმა შეძლონ ლექციებზე დასწრება შესაბამის სასწავლო გარემოში. რეკომენდებულია, სწორად განისაზღვროს აუდიტორიების და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა, რაც მათ სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. (**4.4**)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა 2027 წლის შესყიდვების გეგმაში ასახოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი ლიტერატურის, მათ შორის ონლაინ რესურსების შესყიდვა. (**4.4**)
- რეკომენდებულია, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მოლაპარაკების ფარგლებში დაზუსტდეს კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიმდინარე სრული ბიუჯეტი და შემუშავდეს თითოეული პროგრამის და კლასტერის განვითარების და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმების სტრატეგია. (4.5)
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ინსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და ოფიციალურად დამტკიცების პროცესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის შინაარსთან, სასწავლო რესურსებთან, კადრებით დაკომპლექტებასთან, ინფრასტრუქტურასთან და განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებული ხარვეზების სისტემატური და დროული გამოვლენა, ანალიზი და აღმოფხვრა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს მკაფიო მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული თანამშრომლობის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ და მდგრად გადაცემას და განხორციელებას. (**5.1**)
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, შეუსაბამოს უნივერსიტეტში მოქმედ ფორმატს და მიუთითოს უნივერსიტეტის სახელწოდება. (**5.1**)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გარე შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების (მაგალითად, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები) შესრულება. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების სისტემატური გარე კოლეგიური შეფასებების ჩატარება. (**5.2**)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი არსებული მონიტორინგის მექანიზმების სრული სპექტრის გამოყენებით. (**5.3)**
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის და ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის უნივერსიტეტის სერვისებით კმაყოფილების კვლევების განხორციელება. (**5.3)**

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- რეკომენდებულია, გადაიხედოს კვალიფიკაციის არსებული ინგლისურენოვანი სახელწოდება "Bachelor in Food Technology" და ჩამოყალიბდეს როგორც "Bachelor of Food Technology". (1.1)
- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სპეციფიკის შესატყვისი სწავლის შედეგები, რომლებშიც აისახება კვალიფიკაციის სამეცნიერო განზომილება. (1.2)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები "ხარისხის კონტროლი, სერტიფიცირება და ეტიკეტირება" და "სურსათის წარმოების ნარჩენების გადამუშავება" შესაბამისობაში მოვიდეს მათ მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. (1.2)
- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 240 კრედიტის მოცულობის სტანდარტულ ოთხწლიან სასწავლო დატვირთვასთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი კრედიტისთვის წარმოდგენილი იქნება მკაფიო აკადემიური დასაბუთება. (1.4)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსიდან " კონსერვების ტექნოლოგია" ამოღებულ იქნეს თემა "ჩაის წარმოების ტექნოლოგია" და კურსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი განსაზღვრულ თემატიკასთან. (1.5)
- რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურა და შემცირდეს მოძველებული წყაროების გამოყენება, განსაკუთრებით იმ სასწავლო კურსებში, სადაც ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო და პროფესიული ლიტერატურა. (1.5)
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შედარებითი ანალიზის დოკუმენტი.

პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სპეციფიკის შესატყვისი სწავლის შედეგები, რომლებშიც აისახება კვალიფიკაციის სამეცნიერო განზომილება. (1.2)
- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 240 კრედიტის მოცულობის სტანდარტულ ოთხწლიან სასწავლო დატვირთვასთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი კრედიტისთვის წარმოდგენილი იქნება მკაფიო აკადემიური დასაბუთება. (1.4)

პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და შეიცვალოს კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სახელწოდება "Master in Food Technology" და ჩამოყალიბდეს როგორც "Master of Food Technology" (1.1).
- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად (2.1).
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის განსაზღვროს და ფორმალურად დანიშნოს კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები და პროგრამების განხორციელებამდე მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მონაცემები მათი აკადემიური კვალიფიკაციის, კვლევითი გამოცდილების და ხელმისაწვდომობის შესახებ. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დადგენილი რეგულაციების და აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს ხელმძღვანელების საკმარისი რაოდენობა პროგრამების კვლევითი კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომების წარმატებით შესრულების მხარდასაჭერად. (4.2)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობის და სამეცნიერო კომპონენტის ანონიმური შეფასების ინსტრუმენტები (5.3).

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად (2.1).
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის განსაზღვროს და ფორმალურად დანიშნოს კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები და პროგრამების განხორციელებამდე მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მონაცემები მათი აკადემიური კვალიფიკაციის, კვლევითი გამოცდილების და ხელმისაწვდომობის შესახებ. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დადგენილი რეგულაციების და აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს ხელმძღვანელების საკმარისი რაოდენობა პროგრამების კვლევითი კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომების წარმატებით შესრულების მხარდასაჭერად. (4.2)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობის და სამეცნიერო კომპონენტის ანონიმური შეფასების ინსტრუმენტები (5.3).

- **რჩევები**

1.1 პროგრამის მიზნები

კლასტერული:

- სასურველია, გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპეტენციებზე დაფუძნებული ძლიერი ორიენტაცია, მკაფიო განსხვავება განათლების საფეხურებს შორის და სურსათის სექტორში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებთან შესაბამისობა. მიზნებში მკაფიოდ უნდა აისახოს კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, გაძლიერდეს პროგრესია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებს შორის და გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე საერთაშორისო

ტენდენციები, მათ შორის მდგრადობა, გაციფრულება, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, ინოვაცია და საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩოები.

- ასევე მკაფიოდ უნდა იქნეს აღწერილი პროგრამების წვლილი საზოგადოებრივ განვითარებაში, კერძოდ, სურსათის უვნებლობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსდაცვის მდგრადობის და რესურსების პასუხისმგებლიანი მართვის თვალსაზრისით.
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის განზომილება და მკაფიოდ აისახოს ევროპული და საერთაშორისო სურსათის უვნებლობის და ხარისხის სტანდარტები, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა და გლობალურ პროფესიულ და ინოვაციურ ქსელებში მონაწილეობა.

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- სასურველია, შეიცვალოს პროგრამის მიზნების ფორმულირება კომპეტენციებზე დაფუძნებული ენის გამოყენებით, რომელიც უფრო ცხადად აღწერს კურსდამთავრებულის მოსალოდნელ პროფილს და სწავლის შედეგებს.
- სასურველია, გაფართოვდეს მიზნები, იმისათვის, რომ აისახოს სურსათის სექტორის თანამედროვე ტენდენციები, მათ შორის მდგრადი წარმოების სისტემები, ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, ინოვაცია და რესურსეფექტური წარმოება.

პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- სასურველია, გაძლიერდეს მიზნების სამეცნიერო განზომილება და მეტი აქცენტის გაკეთდეს სამეცნიერო აზროვნებაზე, კვლევით უნარებზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაზე და ინოვაციაზე.
- სასურველია, გადაიხედოს მიზნები, იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ აისახოს სურსათის უსაფრთხოებასთან, საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან, მდგრადობასთან, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასთან და ტექნოლოგიურ მიღწევებთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები.
- სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის მიზნების ინგლისურენოვანი თარგმანი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სიცხადე, ენობრივი სიზუსტე და საერთაშორისოდ აღიარებულ აკადემიურ ტერმინოლოგიასთან თანხვედრა.

პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, მიზნებში აისახოს სასურსათო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე მიღწევები, როგორიცაა მდგრადი წარმოების სისტემები, ციკლური ბიოეკონომიკის მიდგომები, ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები, წარმოების ჭკვიანი ტექნოლოგიები და კლიმატისადმი მდგრადი სასურსათო პროდუქციის წარმოება.
- სასურველია, მიზნებში მკაფიოდ გაიმიჯნოს სამაგისტრო საფეხურის კომპეტენციები საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციისგან, განსაკუთრებით ინოვაციის, დამოუკიდებელი კვლევის, კრიტიკული ანალიზის და პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით.
  სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის მიზნების ინგლისურენოვანი თარგმანი, იმისათვის, რომ ზუსტად აისახოს ქართული ტექსტის მნიშვნელობა, მოცულობა და აკადემიური დონე.

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, მიზნებში გათვალისწინებულ იქნეს სურსათის უვნებლობის სფეროს თანამედროვე მიღწევები, მათ შორის სურსათის უსაფრთხოების ციფრული სისტემები, მიკვლევადობის ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები, მონაცემებზე დაფუძნებული ხარისხის მართვა, კლიმატთან დაკავშირებული სასურსათის უვნებლობის რისკები და უახლესი მარეგულირებელი გამოწვევები.
- სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის წვლილი საზოგადოებრივ ჯანმდაცვაში, მომხმარებელთა დაცვაში, სურსათის უსაფრთხოებაში და ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაში.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობა და ტექნოლოგიური პროცესები კარგად არის წარმოდგენილი, სასურველია სწავლის შედეგებში მკაფიოდ აისახოს მდგრადი წარმოების პრაქტიკები, ნარჩენების მინიმიზაცია, რესურსების ეფექტური გამოყენება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- სასურველია, სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ აისახოს კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევასთან, ექსპერიმენტული შედეგების ინტერპრეტაციასთან, მონაცემების ანალიზთან და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებასთან, რაც გააძლიერებს განსხვავებას სურსათის მეცნიერების და სასურსათო ტექნოლოგიის კურსდამთავრებულებს შორის.

პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, სწავლის შედეგებში აისახოს თანამედროვე მიღწევები, როგორიცაა მდგრადობა, გაციფრულება, ხელოვნური ინტელექტი, მიკვლევადობა და კლიმატისადმი მდგრადობა.
- მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია კვლევითი და ტექნოლოგიური კომპეტენციები, მათში მკაფიოდ უნდა იყოს ხაზგასმული ტექნოლოგიების ტრანსფერი, ინოვაციების კომერციალიზაცია, პროდუქტის განვითარება და ინდუსტრიაზე ორიენტირებული კვლევა.

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, სწავლის შედეგებში აისახოს თანამედროვე მიღწევები, როგორიცაა მდგრადობა, გაციფრულება, ხელოვნური ინტელექტი, მიკვლევადობა და კლიმატისადმი მდგრადობა.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- სასურველია, გადაიხედოს და დაზუსტდეს უცხო ენის შესწავლისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და პროგრამის თითოეულ დოკუმენტში უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრულობა.
- სასურველია, გადაიხედოს შემდეგი სასწავლო კურსების წინაპირობების კავშირი: სასურსათო ტექნოლოგიური პროცესები და აღჭურვილობა, სურსათის წარმოების მიკრობიოლოგია, სურსათის უვნებლობა და პროფესიულ მოდულებში შემავალი სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალიზებული კურსები.

პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- სასურველია, სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაიხედოს "სასურსათო ბიოქიმიის" სასწავლო კურსის და მასთან დაკავშირებული საბუნებისმეტყველო სასწავლო კურსების წინაპირობების სტრუქტურა.
- სასურველია, ხელახლა შეფასდეს სასწავლო კურსების "შრომის უსაფრთხოება კვების მრეწველობის საწარმოებში", "ბიოქიმიის საფუძვლები" და "სურსათის საწარმოს დაპროექტების საფუძვლები" კრედიტების განაწილება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა კურსის მოცულობას და დადგენილ დატვირთვას შორის.
- სასურველია, სილაბუსებში გასწორდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილებაში გამოვლენილი უზუსტობები.

პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, პროგრამების განხორციელებამდე უნივერსიტეტმა დაასრულოს პროგრამის დოკუმენტაციის და სასწავლო კურსების სილაბუსების მორგება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილ მეთოდოლოგიურ და ფორმალურ მოთხოვნებთან.

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, დაინერგოს დარგობრივი უცხო ენის კომპონენტი ან სხვა მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ კომუნიკაციას საერთაშორისო სურსათის უვნებლობის, მარეგულირებელ და სამეცნიერო გარემოში.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

კლასტერული:

- სასურველია, სისტემატურად განახლდეს პროგრამებში გამოყენებული ლიტერატურა და დაემატოს კლასიკური და ისტორიული წყაროები, თანამედროვე სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო სტანდარტები და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები.

პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსის "კურკოვანი ხეხილის ნედლეულისგან ღვინის წარმოება" შინაარსი და ლიტერატურა, იმისათვის, რომ ადეკვატურად იქნეს განხილული კურკოვანი ხილისგან ღვინის წარმოების ტექნოლოგიები.

პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსი „სურსათის მიკრობიოლოგია" და უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა კურსის სახელწოდებას, შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შორის.

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნეს სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული აქტუალური მიმართულებები.

2.3 სწავლება - სწავლის მეთოდები

კლასტერული:

- სასურველია, საგამოცდო ცენტრი უფრო აქტიურად ჩაერთოს სპეციალობის საგნების შუალედური/დასკვნითი გამოცდების ჩატარებაში, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან შეფასებას.

- სასურველია, სილაბუსებში მკაფიოდ მიეთითოს შუალედური / დასკვნითი გამოცდების ჩატარების დრო და ადგილი. აღნიშნული დეტალების დამატება ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსის სიცხადეს, სტანდარტიზაციას და სისტემატიზაციას.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

კლასტერული:

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროფესიული განვითარების ღონისძიებების, ტრენინგების, კვლევითი მხარდაჭერის მექანიზმებისა და ინტერნაციონალიზაციის ინიციატივების თანაბარი ხელმისაწვდომობა კლასტერულ პროგრამებში ჩართული ახლად დაქირავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, რითაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტურ ინტეგრაციას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ სივრცეში.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

კლასტერული:

- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატაროს სისტემატური სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები და ტერნინგები, რაც გააძლიერებს ხარისხის კულტურას, ინსტიტუციურ რეგულაციებს, ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაცნობას და პროგრამის დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში მათ აქტიურ მონაწილეობას.

საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის

ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და/ან დოქტორანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები[1]; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.
არ არის ხელმისაწვდომი - პროგრამები ახალია

- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**
მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი

[1] სადოქტორო პროგრამის კლასტერში დაჯგუფების შემთხვევაში, მიეთითება განცალკევებული ანალიზის სახით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[2]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პრაქტიკულად გაიზიარა ყველა რეკომენდაცია, თუმცა რამდენიმე მათგანს მხოლოდ ნაწილობრივ დაეთანხმა. ექსპერტთა ჯგუფს სურს განმარტოს აღნიშნული რეკომენდაციები, რომლებიც კვლავ რეკომენდაციების სახით დატოვა.

რეკომენდაცია №2 (1.2): ექსპერტთა ჯგუფი კვლავ ითხოვს ორი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიო დიფერენცირებას. ეს მნიშვნელოვანია, რათა სტუდენტებმა ნათლად დაინახონ ერთი და იმავე მიმართულების პროგრამებს შორის არსებული განსხვავებები, ხოლო აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს თითოეული პროგრამის შესაბამისი შინაარსობრივი ფორმირება. სურსათის გადამუშავების (Food Processing) საერთო ჩარჩოს ფარგლებში თითოეული პროგრამისთვის უნდა განისაზღვროს განსხვავებული სწავლის შედეგები. დასაშვებია მხოლოდ ნაწილობრივი, და არა სრული, გადაფარვა.

რეკომენდაცია №6 (1.5): აუცილებელია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსის (და, საჭიროების შემთხვევაში, სახელწოდებების) სრული დიფერენცირება. ეს ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, თუ სამაგისტრო პროგრამის განხორციელება მომდევნო აკადემიური წლიდან იგეგმება. წინა რეკომენდაციის მსგავსად, ორი საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ნაწილობრივი გადაფარვა.

რეკომენდაცია №12 (4.3): ექსპერტთა ჯგუფი არ აყენებს ეჭვქვეშ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. თუმცა, როგორც შეფასების პროცესში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, აკადემიური პერსონალი (მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელები) არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას უნივერსიტეტის პოლიტიკისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პირი სათანადოდ იყოს ინფორმირებული აღნიშნულ საკითხებზე.

სხვა ნაწილობრივ გაზიარებული რეკომენდაციები: ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ რეკომენდაციების გაზიარებასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი პრაქტიკაში განხორციელება, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს რეკომენდაციების რეალური განხორციელება და მათი შესრულება.

---

[2] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და / ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ლინკი):

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის პროგრამების კლასტერის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

კლასტერული შეფასება: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.
ინდივიდუალური შეფასება: საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. **პროგრამის ინდივიდუალური შეფასება** მნიშვნელოვანია განხორციელდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გაიცემა - რეკომენდაცია ან/და რჩევა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

N	**დასახელება / სტანდარტი**	პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)	პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისბაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისბაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია

1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	- აირჩიეთ შესაბამისი	- აირჩიეთ შესაბამისი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია

4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების (ორი საბაკალავრო და ორი სამაგისტრო) სტრუქტურა ზოგად თანმიმდევრულია, გააჩნია თემატური ფოკუსი და აკადემიური დანიშნულება. ერთობლივად, პროგრამები, განათლების ორი საფეხურის ფარგლებში ფარავს სასურსათო ტექნოლოგიის, სურსათის მეცნიერების და სურსათის უვნებლობის სფეროებს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური განვითარების და პროფესიული სპეციალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამების კლასტერში დაჯგუფება სათანადოდ არის დასაბუთებული, რაც განპირობებულია მათი საერთო დისციპლინით, აკადემიური რესურსებით, სწავლის სფეროების და პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოყალიბებული ინტერდისციპლინური თანამშრომლობით.

პროგრამების მიზნები ზოგადად შეესაბამება სწავლის სფეროს, კვალიფიკაციის დონეებს და ადგილობრივი სამუშაო ძალის საჭიროებებს. პროგრამებში განხილულია სურსათის წარმოების, სურსათის ხარისხის, სურსათის უვნებლობის და ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეესაბამება როგორც საქართველოს ეკონომიკის, ისე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტებს. გარდა ამისა, კლასტერი ასახავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ განზრახვას, გააფართოვოს საგანმანათლებლო პორთფოლიო ისეთი პროგრამების შეთავაზებით, რომლებიც მხარს უჭერენ ეროვნულ განვითარებას და აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ამავდროულად, პროგრამების მიზნების ფორმულირებაში გამოიკვეთა რამდენიმე ხარვეზი. მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ზოგადად შეესაბამება სწავლის სფეროს, ისინი ძირითადად ორიენტირებულია შინაარსზე და აღწერენ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, კურსდამთავრებულისგან მოსალოდნელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების ნაცვლად. შესაბამისად, მიზნები არ მოიცავს მკაფიო ინფორმაციას კურსდამთავრებულის მოსალოდნელი პროფილის შესახებ.

აღნიშნული პრობლემა უმთავრესად ეხება საბაკალავრო პროგრამებს, სადაც მიზნების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია როგორც პროდუქტების, ტექნოლოგიების ან პროცესების ჩამონათვალი და არ არის გადმოცემული კომპეტენციაზე დაფუძნებული ფორმულირებების სახით. მაგალითად, სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში მითითებულია, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც გაეცნობიან პურპროდუქტების, შაქრის, ალკოჰოლის, საკონდიტრო ნაწარმის, სასმელების, ხორცის და რძის პროდუქტების და კონსერვების წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განსაზღვრავს პროგრამის თემატურ შინაარსს, მასში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული აღნიშნული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულებში განვითარებული კომპეტენციები. აუცილებელია, რომ მიზნები ჩამოყალიბდეს კომპეტენციებზე ორიენტირებული ფორმულირებით, რომელშიც ხაზგასმული იქნება სურსათის წარმოების პროცესების მართვის, ოპტიმიზაციის, ანალიზის და კონტროლის უნარი, ხარისხის უზრუნველყოფა და სტანდარტებთან შესაბამისობა.

შემდეგი საყურადღებო საკითხია საგანმანათლებლო დონეებს შორის განსხვავება. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამებში აქცენტი კეთდება ინოვაციაზე, კვლევაზე და საერთაშორისო ინტეგრაციაზე, საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლა არ არის მკაფიოდ ნაჩვენები. მიზნები თანმიმდევრულად არ არის წარმოდგენილი განათლების სხვადასხვა საფეხურზე კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი ცოდნის, ავტონომიურობის, ანალიტიკური შესაძლებლობების და კვლევითი კომპეტენციის მზარდი სირთულე. აღნიშნული ვერტიკალური განვითარების

გაძლიერება უფორ მკაფიოდ წარმოაჩენს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აკადემიურ გზას.

ზოგადად თვალსაჩინოა პროგრამების წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე. ისეთი საკითხები, როგორიცაა სურსათის უვნებლობის მართვა, ტექნოლოგიური ინოვაცია, ხარისხის უზრუნველყოფა და გამოყენებითი კვლევა, სათანადოდ არის ასახული და შეესაბამება სურსათის სექტორში არსებულ თანამედროვე გამოწვევებს. თუმცა, სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი სურსათის სფეროს პროფესიონალების საზოგადოებრივი როლი და პროგრამების ფართო წვლილი მდგრად განვითარებაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, სურსათის უვნებლობასა და გარემოს დაცვაში.

ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ მიზნებში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის საჭიროებები, მათში სათანადოდ არ არის ასახული მნიშვნელოვანი საერთაშორისო და უახლესი დარგობრივი ტენდენციები. მიზნებში არ გვხვდება ისეთი თანამედროვე ტენდენციები, როგორიცაა მდგრადობა, ცირკულარული ბიოეკონომიკა, კლიმატისადმი მდგრადი სასურსათო სისტემები, სურსათის წარმოების გაციფრულება, ხელოვნური ინტელექტის აოლიკაციების, წარმოების ჭკვიანი ტექნოლოგიები, თვალთვალის სისტემები, ახალი სახის სურსათი, ბიოტექნოლოგია და მონაცემებზე დაფუძნებული ხარისხის მართვა. მიზნებში საერთაშორისო დონეზე სურსათის სექტორის სწრაფი ტრანსფორმაციის გათვალისწინება გააძლიერებს პროგრამების აქტუალობას და მომავალზე ორიენტირებულობას.

ასევე, ნაწილობრივ არის ასახული ინტერნაციონალიზაციის განზომილებაც. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამები მიუთითებენ საერთაშორისო თანამშრომლობაზე და გლობალურ პროფესიულ გარემოში ინტეგრაციაზე, მიზნებში აქცენტი არ კეთდება საერთაშორისო მარეგულირებელ ჩარჩოებზე, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებზე, საერთაშორისო ხარისხის მართვის სისტემებზე ან საერთაშორისო კვლევით და ინოვაციურ ეკოსისტემებში მონაწილეობაზე. საქართველოს ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და მარეგულირებელ სტანდარტებთან მიმდინარე ინტეგრაციის გათვალისწინებით, საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს აღნიშნულ ასპექტებს.

რაც შეეხება მისანიჭებელი კვალიფიკაციებს, მათი ინგლისურენოვანი სახელწოდებები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან. კერძოდ, გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი ფორმულირებები: "Bachelor of Food Technology“ და "Master of Food Technology“ და არა "Bachelor in Food Technology“ და "Master in Food Technology“.

მთლიანობაში პროგრამის მიზნები ზოგადად შეესაბამება სწავლის სფეროს და ეროვნული სამუშაო ძალის მოთხოვნებს. თუმცა, საჭიროა მიზნების გადახედვა და გადამუშავება იმისათვის, რომ ისინი წარმოდგენილი იყოს კომპეტენციებზე დაფუძნებული, გაზომვადი და კვალიფიკაციის დონის მიხედვით მკაფიოდ დიფერენცირებული სახით. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კურსდამთავრებულების შესაძლებლობებზე, შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობაზე, კვლევით კომპეტენციაზე, ინოვაციაზე, მდგრადობაზე, ციფრულ ტრანსფორმაციაზე, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებზე და ინტერნაციონალიზაციაზე. მიზნების გადამუშავება გააძლიერებს კლასტერის აკადემიურ თანმიმდევრულობას, მკაფიოდ წარმოაჩენს კურსდამთავრებულის პროფილს და გააუმჯობესებს თანამედროვე აკრედიტაციის სტანდარტებთან და საერთაშორისო მოლოდინებთან შესაბამისობას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ზოგადად ასახავს სწავლის სფეროს და უზრუნველყოფს მყარ საფუძველს სასურსათო ტექნოლოგიაში. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ მიზნებში წარმოდგენილი იყოს კომპეტენციები, რომლებიც ასახავენ კურსდამთავრებულისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, მათში ძირითადად აღწერილია შესასწავლი საგნები და პროცესები. შედეგად, მკაფიოდ არ არის მოცემული კურსდამთავრებულის პროფილი და მოსალოდნელი სწავლის შედეგები.

გარდა ამისა, მიზნებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სურსათის წარმოების ტრადიციულ ტექნოლოგიებზე, თუმცა არ არის ასახული თანამედროვე სურსათის სექტორში მოთხოვნილი ფართო კომპეტენციები, მათ შორის ინოვაცია, მდგრადობა, ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები, რესურსეფექტური წარმოება, ხარისხის მართვის სისტემები და ინტერდისციპლინური პრობლემების გადაჭრა. აღნიშნულ სფეროებზე მეტი აქცენტის გაკეთება გააძლიერებს პროგრამის

შესაბამისობას მიმდინარე საერთაშორისო ტენდენციებთან და შრომის ბაზრის მოლოდინებთან.

გარდა ამისა, აუცილებელია გადაიხედოს კვალიფიკაციების ინგლისურენოვანი დასახელება იმისათის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და საერთაშორისოდ მიღებულ ხარისხების ჩამონათვალთან. ინგლისურ ენაზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: Bachelor of Food Technology და არა Bachelor in Food Technology.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)

სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია გადასცეს სტუდენტებს ცოდნა სურსათის ინდუსტრიის პროცესების, სურსათის წარმოების ტექნოლოგიების, ხარისხის და უვნებლობის კონცეფციების, ნედლეულის გადამუშავების, გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების და სურსათის წარმოებაში და ხარისხის კონტროლში გამოყენებული ანალიტიკური მეთოდების შესახებ. ასევე, პროგრამის მიზანია განავითაროს სტუდენტების უნარი დაახასიათონ სურსათის კომპონენტები, გამოიყენონ ფიზიკურ - ქიმიური ანალიტიკური მეთოდები, შეაფასონ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სურსათის წარმოებაზე, გააანალიზონ ტექნოლოგიური ინოვაციები და მონაწილეობა მიიღონ სურსათის ტექნოლოგიური პროექტების შემუშავებაში და განხორციელებაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნების ინგლისურენოვანი ვერსია საჭიროებს ენობრივ გადამუშავებას. არსებული ფორმულირება მოიცავს არაერთ გრამატიკულ, ტერმინოლოგიურ და სტილისტურ უზუსტობას, რაც ამცირებს სიცხადეს და შესაძლოა ხელს უშლიდეს პროგრამის მიზნების გააზრებას საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სახელწოდება ხაზს უსვამს როგორც სურსათის მეცნიერებას, ისე ტექნოლოგიას, მიზნებში სათანადოდ არ არის ასახული დარგის მეცნიერული და კვლევაზე ორიენტირებული განზომილებები. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერულ მსჯელობას, ინოვაციას, კვლევით უნარებს, ხარისხის მართვას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. ასევე, სასურველია მიზნები ფოკუსირებული იყოს სურსათის სექტორში არსებულ თანამედროვე გამოწვევებზე, მდგრადობაზე, სურსათის უვნებლობაზე, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, ციფრულ ტექნოლოგიებზე და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობაზე.

საერთო ჯამში, პროგრამას გააჩნია მყარი აკადემიური საფუძველი და აჩვენებს დარგთან შესაბამისობას. თუმცა, აუცილებელია მიზნების გადახედვა, იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს კომპეტენციებზე ორიენტირებული მიდგომა და მკაფიოდ აისახოს

პროგრამის წვლილი საზოგადოების და სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის თანამედროვე ტენდენციების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)

სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს გადასცეს მაღალი დონის სისტემური ცოდნა სურსათის ტექნოლოგიის სფეროში, მათ შორის სურსათის წარმოების პროცესების, ტექნოლოგიური სქემების, წარმოების მეთოდების, წარმოების პროცესში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების და სურსათის წარმოებაში გამოყენებული მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის შესახებ.

მიზნები ზოგადად შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და ასახავს სასურსათო ტექნოლოგიის დისციპლინის ძირითად სფეროებს.

მიუხედავად ამისა, გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი. მიზნები საკმარისად არ ასახავს სასურსათო ტექნოლოგიის სექტორში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს, მათ შორის სურსათის მდგრადი წარმოების სისტემებს, ცირკულარული ბიოეკონომიკის მიდგომებს, ციფრულ ტრანსფორმაციას, ხელოვნური ინტელექტის აოლიკაციებს, წარმოების ჭკვიან ტექნოლოგიებს, ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემებს და კლიმატისადმი მდგრადი სურსათის წარმოებას. დარგის სწრაფად განვითარებადი ხასიათის გათვალისწინებით, მიზნებში უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს აღნიშნული ასპექტები.

ექსპერტებმა შეშფოთება გამოხატეს პროგრამის მიზნების ინგლისურენოვან ვერსიასთან დაკავშირებით. ინგლისურენოვანი ვერსია სათანადოდ არ ასახავს ქართული ტექსტის მნიშვნელობას და აკადემიურ დონეს და შესაძლოა გაუგებარი იყოს პოტენციური საერთაშორისო პარტნიორებისათვის და გარე დაინტერესებულ მხარეებისათვის.

მთლიანობაში, პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლის სფეროს და სამაგისტრო საფეხურს. თუმცა, აუცილებელია მათი გადამუშავება იმისათვის, რომ გაძლიერდეს კომპეტენციებზე დაფუძნებული ორიენტაცია, მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი განსხვავება საბაკალავრო პროგრამისაგან და უკეთესად აისახოს სასურსათო ტექნოლოგიის შესაბამისი თანამედროვე მეცნიერული, ტექნოლოგიური, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ტენდენციები.

გარდა ამისა, აუცილებელია გადაიხედოს კვალიფიკაციების ინგლისურენოვანი დასახელება იმისათის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და საერთაშორისოდ მიღებულ ხარისხების ჩამონათვალთან. ინგლისურ ენაზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: Master of Food Technology და არა Master in Food Technology.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)

სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და მკაფიოდ არის დაკავშირებული სწავლის სფეროსთან. კლასტერში წარმოდგენილ სხვა პროგრამებთან შედარებით, აღნიშნული პროგრამის მიზნები უფრო მკაფიოდ ასახავენ ინტერნაციონალიზაციას, ინოვაციას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ფოკუსი სურსათის უვნებლობის მართვის სისტემებზე და საერთაშორისო მარეგულირებელ ვალდებულებებზე განსაკუთრებით აქტუალურია, საქართველოს ევროპული სურსათის უსაფრთხოების კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან დაახლოების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნახსენებია ინოვაცია და საერთაშორისო ინტეგრაცია, აუცილებელია მიზნებში მკაფიოდ აისახოს დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციები, მათ შორის სურსათის უვნებლობის ციფრული სისტემები, მიკვლევადობის ტექნოლოგიები, მონაცემებზე დაფუძნებული ხარისხის მართვა, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები, მდგრადობის საკითხები, კლიმატთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის რისკები და განვითარებაში მარეგულირებელი გამოწვევები. აღნიშნული ასპექტების გათვალისწინება გააძლიერებს პროგრამის აქტუალობას და სექტორში არსებულ და მომავალ ტენდენციებთან შესაბამისობას.

თვალსაჩინოა პროგრამის საზოგადოებრივი წვლილი, ვინაიდან სურსათის უვნებლობა პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, მომხმარებელთა დაცვაზე, სურსათის უსაფრთხოებაზე და ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია აღნიშნული წვლილი უფრო მკაფიოდ აისახოს პროგრამის მიზნებში, რაც უკეთ წარმოაჩენს კვალიფიკაციის ფართო მნიშვნელობას.

ასევე, აუცილებელია გადაიხედოს ცალკეული მიზნების ფორმულირება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მეტი სიცხადე და გაზომვადობა. ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა "ინტეგრირება საერთაშორისო ეკოსისტემაში", კონცეპტუალურად შესაბამისია, თუმცა გარკვეულწილად ბუნდოვანია და მკაფიოდ არ აჩვენებს კურსდამთავრებულისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს. მიზანი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: "მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დანერგონ სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემები, განახორციელონ კვლევითი და ინოვაციური აქტივობები და ეფექტურად იმოქმედონ ევროპული და საერთაშორისო სურსათის უვნებლობის და მარეგულირებელ ჩარჩოების ფარგლებში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ტექნოლოგიის და ფარმაციის ფაკულტეტის დებულება;
- პროგრამების აღწერილობები;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები	სასურველია, გადაიხედოს კვალიფიკაციების ინგლისურენოვანი სახელწოდებები, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და საერთაშორისოდ აღიარებული კვალიფიკაციების ჩამონათვალთან.	სასურველია, გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპეტენციებზე დაფუძნებული ძლიერი ორიენტაცია, მკაფიო განსხვავება განათლების საფეხურებს შორის და სურსათის სექტორში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებთან შესაბამისობა. მიზნებში მკაფიოდ უნდა აისახოს კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, გაძლერდეს პროგრესია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებს შორის და გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციები, მათ შორის მდგრადობა, გაციფრულება,

		ხელოვნური ინტელექტის გამყენება, ინოვაცია და საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩოები. ასევე მკაფიოდ უნდა იქნეს აღწერილი პროგრამების წვლილი საზოგადოებრივ განვითარებაში, კერძოდ, სურსათის უვნებლობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსდაცვის მდგრადობის და რესურსების პასუხისმგებლიანი მართვის თვალსაზრისით. სასურველია, გაძლიერდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის განზომილება და მკაფიოდ აისახოს ევროპული და საერთაშორისო სურსათის უვნებლობის და ხარისხის სტანდარტები, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა და გლობალურ პროფესიულ და ინოვაციურ ქსელებში მონაწილეობა.
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	რეკომენდებულია, გადაიხედოს კვალიფიკაციის არსებული ინგლისურენოვანი სახელწოდება "Bachelor in Food Technology" და ჩამყალიბდეს როგორც "Bachelor of Food Technology".	სასურველია, შეიცვალოს პროგრამის მიზნების ფორმულირება კომპეტენციებზე დაფუძნებული ენის გამოყენებით, რომელიც უფრო ცხადად აღწერს კურსდამთავრებულის მოსალოდნელ პროფილს და სწავლის შედეგებს. სასურველია, გაფართოვდეს მიზნები, იმისათვის, რომ აისახოს სურსათის სექტორის თანამედროვე ტენდენციები, მათ შორის მდგრადი წარმოების სისტემები, ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება,

		ინოვაცია და რესურსეფექტური წარმოება.
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)		სასურველია, გაძლიერდეს მიზნების სამეცნიერო განზომილება და მეტი აქცენტის გაკეთდეს სამეცნიერო აზროვნებაზე, კვლევით უნარებზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაზე და ინოვაციაზე. სასურველია, გადაიხედოს მიზნები, იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ აისახოს თანამედროვე გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია სურსათის უსაფრთხოებასთან, საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან, მდგრადობასთან, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასთან და ტექნოლოგიურ მიღწევებთან. სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის მიზნების ინგლისურენოვანი თარგმანი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სიცხადე, ენობრივი სიზუსტე და საერთაშორისოდ აღიარებულ აკადემიურ ტერმინოლოგიასთან თანხვედრა.
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)	რეკომენდებულია, გადაიხედოს და შეიცვალოს კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სახელწოდება "Master in Food Technology" და ჩამოყალიბდეს როგორც "Master of Food Technology".	სასურველია, მიზნებში აისახოს სასურსათო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე მიღწევები, როგორიცაა მდგრადი წარმოების სისტემები, ციკლური ბიოეკონომიკის მიდგომები, ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები, წარმოების ჭკვიანი

		ტექნოლოგიები და კლიმატისადმი მდგრადი სასურსათო პროდუქციის წარმოება. სასურველია, მიზნებში მკაფიოდ გაიმიჯნოს სამაგისტრო საფეხურის კომპეტენციები საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციისგან, განსაკუთრებით ინოვაციის, დამოუკიდებელი კვლევის, კრიტიკული ანალიზის და პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით. სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის მიზნების ინგლისურენოვანი თარგმანი, იმისათვის, რომ ისინი ზუსტად ასახავდნენ ქართული ტექსტის მნიშვნელობას, მოცულობას და აკადემიურ დონეს.
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, მე - 7 დონე)		სასურველია, მიზნებში გათვალისწინებულ იქნეს სურსათის უვნებლობის სფეროს თანამედროვე მიღწევები, მათ შორის სურსათის უსაფრთხოების ციფრული სისტემებ, თვალთვალის ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები, მონაცემებზე დაფუძნებული ხარისხის მართვა, კლიმატთან დაკავშირებული სასურსათის უვნებლობის რისკები და უახლესი მარეგულირებელი გამოწვევები. სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის წვლილი საზოგადოებრივ ჯანმდაცვაში, მომხმარებელთა

		დაცვაში, სურსათის ესაფრთხოებაში და ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაში.

შეფასება [3]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი **1.1 პროგრამის მიზნები**	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით- კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

[3] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, ზოგადად, შეესაბამება შესაბამისი პროგრამების მიზნებს და ასახავს მისანიჭებელი კვალიფიკაციების დონეებს. შედეგები მოიცავს იმ ძირითად ცოდნას, პრაქტიკული უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სურსათის ტექნოლოგიის, სასურსათო მეცნიერებისა და სურსათის უვნებლობის სფეროების კურსდამთავრებულები უნდა ფლობენ. ისინი შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და თანხვედრაშია სურსათის სექტორის შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან.

კლასტერი აჩვენებს ლოგიკურ პროგრესიას უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებს შორის. საბაკალავრო პროგრამები ძირითადად ორიენტირებულია სურსათის წარმოებასთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, ტექნოლოგიურ პროცესებსა და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენასა და გამოყენებაზე, ხოლო სამაგისტრო პროგრამებში უფრო დიდი აქცენტი კეთდება კრიტიკულ ანალიზზე, ინოვაციაზე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაზე, კვლევით საქმიანობასა და მართვის კომპეტენციებზე.

ამავდროულად, მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა ორ საბაკალავრო პროგრამას შორის სწავლის შედეგების დიფერენცირების ნაწილში. „სასურსათო ტექნოლოგიისა“ და „სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის“ პროგრამები შეიცავს სწავლის იდენტურ შედეგებს, რომლებიც პირდაპირ არის გადმოტანილი სურსათის ტექნოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლიდან. მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობა მიზანშეწონილი და სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ერთსა და იმავე ინსტიტუციურ კლასტერშია დაჯგუფებული და განსხვავებულ კვალიფიკაციებს ანიჭებს, კურსდამთავრებულთა განსხვავებულ პროფილებს უნდა აჩვენებდეს, რომლებშიც ასახული იქნება მათი კონკრეტული მიზნები, შინაარსი და პროფესიული ტრაექტორიები. არსებული ფორმულირება სათანადოდ არ განასხვავებს იმ კომპეტენციებს, რომლებიც ორი პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ და, შესაბამისად, ასუსტებს თითოეული პროგრამის აკადემიურ იდენტობასა და დასაბუთებას.

სწავლის შედეგები, ზოგადად, პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა პროგრესიას განათლების შემდეგ საფეხურზე. თუმცაღა, სურსათის სექტორზე გავლენის მქონე რამდენიმე თანამედროვე ფაქტორი, როგორიცაა მდგრადობა, ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, მონაცემებზე დაფუძნებული წარმოების სისტემები, კლიმატისადმი მედეგობა, წრიული ბიოეკონომიკის პრინციპები და ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომები, მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული. აღნიშნული განვითარებადი მიმართულებების უფრო ფართო ინტეგრირება გააძლიერებდა პროგრამების მომავალზე ორიენტირებას და გაზრდიდა მათ რეაგირების უნარს შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად.

ვიზიტის დროს მოპოვებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიურ პერსონალთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით. მიუხედავად ამისა, საბაკალავრო პროგრამებს შორის არსებითი მსგავსების გათვალისწინებით, კურსდამთავრებულთა პროფილების დიფერენცირების პროცესში სრულად არ იკვეთება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ეფექტურობა.

საერთო ჯამში, სწავლის შედეგები, ზოგადად, შეესაბამება კვალიფიკაციის დონეებსა და დარგის მოთხოვნებს; თუმცა, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების, განსაკუთრებით კი საბაკალავრო საფეხურის პროგრამების გამორჩეულობა გაძლიერებას საჭიროებს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

„სასურსათო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, ზოგადად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ასახავს აღნიშნული სფეროს ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამის ფუნდამენტურ ცოდნასა და პრაქტიკულ კომპეტენციებს.

შედეგები მოიცავს სურსათის წარმოების პროცესებს, სურსათის უვნებლობას, ტექნოლოგიურ აღჭურვილობას, ანალიტიკურ მეთოდებს, წარმოების ცალკეული ეტაპების დამოუკიდებლად განხორციელებას, პრობლემების გადაჭრასა და პროფესიულ პასუხისმგებლობას.

სწავლის შედეგები, ზოგადად, გაზომვადი და მიღწევადია და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI საფეხურის მოთხოვნებს. ისინი ასევე ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებადობას სურსათის სექტორში და ქმნის შესაბამის საფუძველს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

თუმცაღა, მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სწავლის შედეგები „სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების იდენტურია და პროგრამის კონკრეტულ პროფილთან და მიზნებთან სათანადო ადაპტირების გარეშე იმეორებს დარგობრივ მახასიათებლებში მოცემულ ფორმულირებას. შესაბამისად, სწავლის შედეგები სათანადოდ არ ასახავს სურსათის ტექნოლოგიის კვალიფიკაციის უნიკალურ მახასიათებლებს.

გარდა ამისა, გამოვლინდა შეუსაბამობები გარკვეული სასწავლო კურსების მიზნებს, სწავლის შედეგებსა და შინაარსს შორის, განსაკუთრებით კურსებში „ხარისხის კონტროლი, სერტიფიცირება და დაფასოება“ და „სურსათის მრეწველობის წარმოების ნარჩენების გადამუშავება“. ამ შემთხვევებში კურსის სწავლის შედეგები სრულად არ გამომდინარეობს კურსის შინაარსიდან და, შესაბამისად, ზღუდავს კონსტრუქციულ შესაბამისობას სასწავლო გეგმის ფარგლებში.

საერთო ჯამში, სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება კვალიფიკაციის დონესა და სწავლის სფეროს; თუმცა, საჭიროა მათი გადახედვა, რათა უკეთ აისახოს პროგრამის პროფილი და გაძლიერდეს შიდა თანმიმდევრულობა პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, ზოგადად, შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და მოიცავს სურსათის წარმოებასთან, სურსათის უვნებლობასთან, ანალიტიკურ მეთოდებთან, ტექნოლოგიურ აღჭურვილობასა და პროფესიულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რაც შესაბამის საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სახელწოდება ხაზს უსვამს როგორც სამეცნიერო, ისე ტექნოლოგიურ განზომილებებს, სწავლის შედეგები საკმარისად არ განასხვავებს პროგრამას „სასურსათო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამისაგან. ორი პროგრამის სწავლის შედეგები იდენტურია და პირდაპირ არის გადმოტანილი დარგობრივი მახასიათებლიდან. შედეგად, სწავლის შედეგები სათანადოდ არ ასახავს იმ კონკრეტულ სამეცნიერო ორიენტაციას, რომელიც პროგრამის სახელწოდებითა და მიზნებით არის ნაგულისხმევი.

სურსათის მეცნიერების მიმართულების უკეთ წარმოსაჩენად მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს სამეცნიერო მსჯელობაზე, მონაცემთა ინტერპრეტაციაზე, კვლევის მეთოდებზე, ინოვაციასა და პრობლემების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაჭრაზე. ეს ხელს შეუწყობდა კურსდამთავრებულთა უფრო მკაფიო პროფილის ჩამოყალიბებას და გააძლიერებდა კლასტერში შემავალ ორ საბაკალავრო პროგრამას შორის განსხვავებას.

საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონესა და სწავლის სფეროს, საჭიროა მათი გადახედვა, რათა სწავლის შედგები მეტად შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებსა და იდენტობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სასურსათო ტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, ზოგადად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სათანადოდ ასახავს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სირთულის დონეს. შედეგები ასახავს მაღალი დონის ცოდნასა და უნარებს სურსათის ტექნოლოგიის, ინოვაციის, ტექნოლოგიური ანალიზის, აღჭურვილობის მოდერნიზაციის, კვლევითი საქმიანობის, ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისა და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის მიმართულებით.

სწავლის შედეგები, ზოგადად, გაზომვადია და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის მოთხოვნებს.

მიუხედავად ამისა, გარკვეული სწავლის შედეგები კვლავ მნიშვნელოვნად არის ფოკუსირებული სურსათის წარმოების ტრადიციულ ტექნოლოგიურ ასპექტებზე და შესაძლებელია, უფრო ნათლად ასახავდეს სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, მათ შორის სურსათის მდგრად სისტემებს, წრიული ბიოეკონომიკის მიდგომებს, ციფრულ ტექნოლოგიებს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, წარმოების ჭკვიანურ სისტემებსა და კლიმატისადმი მედეგ სურსათის წარმოებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ნათლად ასახავს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობას. სწავლის შედეგები მოიცავს მაღალი დონის ცოდნასა და უნარებს სურსათის უვნებლობის სისტემების, ხარისხის მართვის, საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩოების, რისკების მართვის, გადაწყვეტილებების მიღების, კვლევითი კომპეტენციისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მიმართულებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ძლიერი აქცენტი საერთაშორისო ვალდებულებებზე, ევროპულ მარეგულირებელ მოთხოვნებზე, სურსათის უვნებლობის მართვის სისტემებსა და კრიტიკული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

სწავლის შედეგები, ზოგადად, გაზომვადი, რეალისტური და კვალიფიკაციის დონის შესაბამისია. მათში იკითხება აშკარა პროგრესია საბაკალავრო საფეხურიდან და სათანადოდ უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა მზადყოფნას პროფესიული საქმიანობისა და შემდგომი აკადემიური განვითარებისთვის.

მიუხედავად ამისა, სწავლის შედეგები შესაძლოა კიდევ უფრო გაძლიერდეს მკაფიო მითითებების ინტეგრირებით სურსათის უვნებლობის სფეროს განვითარებად მიმართულებებზე, მათ შორის ციფრული შესწავლადობის სისტემებზე, მონაცემებზე დაფუძნებულ ხარისხის მართვაზე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე, მდგრადობის საკითხებსა და კლიმატთან დაკავშირებულ სურსათის უვნებლობის რისკებზე (ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერები და მათი დანართები
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები
- „სურსათის ტექნოლოგიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში

	კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები, იმისათვის, რომ ადეკვატურად გაიმიჯნოს "სასურსათო ტექნოლოგიის" და "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" პროგრამების კურსდამთავრებულების კვალიფიკაციები და მკაფიოდ აისახოს თითოეული პროგრამის სპეციფიკური აკადემიური და პროფესიული პროფილი.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სპეციფიკის შესატყვისი სწავლის შედეგები, რომლებშიც აისახება კვალიფიკაციის სამეცნიერო განზომილება. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები "ხარისხის კონტროლი, სერტიფიცირება და ეტიკეტირება" და "სურსათის წარმოების ნარჩენების გადამუშავება" შესაბამისობაში მოვიდეს მათ მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან.	მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობა და ტექნოლოგიური პროცესები კარგად არის წარმოდგენილი, სასურველია სწავლის შედეგებში მკაფიოდ აისახოს მდგრადი წარმოების პრაქტიკები, ნარჩენების მინიმიზაცია, რესურსების ეფექტური გამოყენება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და	რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის	სასურველია, სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ

ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	სპეციფიკის შესატყვისი სწავლის შედეგები, რომლებშიც აისახება კვალიფიკაციის სამეცნიერო განზომილება.	აისახოს კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევასთან, ექსპერიმენტული შედეგების ინტერპრეტაციასთან, მონაცემების ანალიზთან და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებასთან, რაც გააძლიერებს განსხვავებას სურსათის მეცნიერების და სასურსათო ტექნოლოგიის კურსდამთავრებულებს შორის.
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		სასურველია, სწავლის შედეგებში აისახოს თანამედროვე მიღწევები, როგორიცაა მდგრადობა, გაციფრულება, ხელოვნური ინტელექტი, მიკვლევადობა და კლიმატისადმი მდგრადობა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია კვლევითი და ტექნოლოგიური კომპეტენციები, მათში მკაფიოდ უნდა იყოს ხაზგასმული ტექნოლოგიების ტრანსფერი, ინოვაციების კომერციალიზაცია, პროდუქტის განვითარება და ინდუსტრიაზე ორიენტირებული კვლევა.
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო		სასურველია, სწავლის შედეგებში აისახოს თანამედროვე მიღწევები, როგორიცაა მდგრადობა,

საგანმანათლებლო პროგრამა)		გაციფრულება, ხელოვნური ინტელექტი, მიკვლევადობა და კლიმატისადმი მდგრადობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:	**შეფასება**	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია	
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია	
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია	
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია	

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს გააჩნიათ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტთა მიღწევებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გამოყენების პროცედურებს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ სწავლის შედეგების შეფასება ინტეგრირებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში და მიზნად ისახავს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობას პერიოდული შეფასებისა და გადახედვის გზებით.

შეფასების შემოთავაზებული სისტემა მოიცავს შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზს, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, ასევე პროგრამების პერიოდულ მიმოხილვას. შეფასების პროცესი, ზოგადად, ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს და მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რა ხარისხით აღწევენ კურსდამთავრებულები სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება კურიკულუმის რუკების მატრიცების მეშვეობით, რომლებიც სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს პროგრამის სწავლის შედეგებთან აკავშირებს. აღნიშნული შეფასებების შედეგები განიხილება შესაბამის აკადემიურ და ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურებში და პროგრამების გაუმჯობესებისთვის გამოიყენება.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების მოდელი და დამხმარე მტკიცებულებები, ძირითადად, ეფუძნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცდილებას, სადაც აღნიშნული პროგრამები აქამდე ხორციელდებოდა. ვინაიდან პროგრამები ამჟამად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის სსუ-ში შეფასების აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული განხორციელებისა და ეფექტურობის შესახებ მტკიცებულებები. შესაბამისად, შეფასება ეფუძნება შემოთავაზებული მექანიზმების შესაბამისობასა და სსუ-ის განზრახვას, რომ ისინი დააინტეგრიროს ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსა და მარეგულირებელ გარემოში.

შეფასების დოკუმენტაციის განხილვამ გამოავლინა რამდენიმე მიმართულება, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს. კერძოდ, სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები ყოველთვის არ შეიცავს კონკრეტული პროგრამების სწავლის

შედეგებთან პირდაპირ დაკავშირებულ ინდიკატორებს, რაც ართულებს იმის ნათლად დადგენას, თუ რამდენად უწყობს ხელს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი სწავლის ცალკეული შედეგების შეფასებას. გარდა ამისა, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები არ იძლევა კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ან რესპონდენტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვების შემთხვევაში ანონიმურობა ნამდვილად საჭიროა, დამსაქმებელთა წარმომადგენლობის შესახებ ინფორმაციის არარსებობა ზღუდავს შრომის ბაზრის უკუკავშირის გამჭვირვალობას, სანდოობასა და წარმომადგენლობითობას და ასუსტებს პროგრამების სათანადოობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებადობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შეფასებული პროგრამები სსუ-ში ამჟამად გადადის და ჯერ არ განხორციელებულა აღნიშნულ ინსტიტუციურ გარემოში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზი და სამიზნე ნიშნულებთან შედარება პერიოდულად ხორციელდება და უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს, ამჟამად არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც სსუ-ში აღნიშნული პროცესის პრაქტიკულ განხორციელებას დაადასტურებდა. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს და თანმიმდევრულად გამოიყენოს პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების საკუთარი პროცედურები, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციების შესაბამისად.

გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და გაუმჯობესებაში ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარეა ჩართული შეფასების არაპირდაპირი მექანიზმების მეშვეობით. თუმცაღა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის კონკრეტული მექანიზმები სათანადოდ არ არის აღწერილი. კვლავაც ბუნდოვანია, თუ როგორ იქნება ორგანიზებული და დოკუმენტირებული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა პროგრამების სსუ-ში გადატანის შემდეგ - იქნება ეს მრჩეველთა საბჭოების, თანამშრომლობის ფორმალური შეთანხმებების, დამსაქმებელთა საბჭოების, ურთიერთგაგების მემორანდუმების, სტრუქტურირებული საკონსულტაციო შეხვედრების თუ სხვა მექანიზმების მეშვეობით. დაინტერესებული მხარეების შემადგენლობის, როლების, ჩართულობის სიხშირისა და სწავლის შედეგების შეფასებაში მათი პრაქტიკული წვლილის შესახებ მეტი სიცხადე, ნდობას გააძლიერებდა ხარისხის უზრუნველყოფის შემოთავაზებული პროცესების ეფექტიანობისა და მდგრადობის მიმართ.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები
- კურიკულუმის რუკა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების და გაუმჯობესების მკაფიოდ დოკუმენტირებული მექანიზმი, მათ შორის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და დამსაქმებლებისგან სანდო უკუკავშირის შეგროვების გამჭვირვალე პროცედურები, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების და პროგრამის აქტუალურობის შეფასებას.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი, ზოგადად, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლებისა და ECTS-ის პრინციპების მოთხოვნებს. პროგრამები ორგანიზებულია უმაღლესი განათლების დადგენილი საფეხურების შესაბამისად და აჩვენებს ცოდნისა და კომპეტენციების მკაფიო პროგრესიას შესავალიდან მაღალ დონემდე. პროგრამების მოცულობა საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში შეადგენს 241 ECTS კრედიტს, ხოლო სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში - 120 ECTS კრედიტს. აღსანიშნავია, რომ ECTS

სისტემის ზოგადი პრინციპი და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ეროვნული ჩარჩო ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 60 ECTS კრედიტის შესაბამის დატვირთვას ეფუძნება, რაც საბაკალავრო პროგრამებზე ოთხი წლის განმავლობაში 240 ECTS კრედიტის სტანდარტულ მოცულობას განსაზღვრავს. პროგრამის დოკუმენტაციაში სათანადოდ არ არის განმარტებული აღნიშნული მოცულობის ერთი კრედიტით გადაჭარბების დასაბუთება. იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი კრედიტი, არსებული ინფორმაციით, არ უკავშირდება კონკრეტულ აკადემიურ აუცილებლობას ან სწავლის შედეგთან დაკავშირებულ მოთხოვნას, მიზანშეწონილია კურიკულუმის სტრუქტურის გადახედვა, რათა მთლიანი დატვირთვა შესაბამისობაში მოვიდეს 240 ECTS კრედიტის სტანდარტულ მოცულობასთან.

პროგრამები მოიცავს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ არჩევით კომპონენტებს და სთავაზობს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობებს. სამაგისტრო პროგრამები დამატებით მოიცავს მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებითა და დაცვით. პროგრამების სტრუქტურა, ზოგადად, ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციებს.

კლასტერში იკვეთება თანმიმდევრული დარგობრივი ფოკუსი და ქმნის აკადემიური პროგრესიის შესაძლებლობებს სასურსათო ტექნოლოგიის, სურსათის მეცნიერებისა და სურსათის უვნებლობის სფეროებში. პროგრამები მოიცავს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სწავლებას, კვლევით საქმიანობასა და ინდუსტრიაზე ორიენტირებულ კომპონენტებს, რაც დარგის გამოყენებითი ხასიათის გათვალისწინებით მიზანშეწონილია.

ამავდროულად, მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა აღნიშნული პროგრამების სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუციურ ჩარჩოსთან ადაპტირების კუთხით. სსუ-ს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუმჯობესების საკუთარი მეთოდოლოგიები, მათ შორის პროგრამის სტანდარტიზებული სტრუქტურები და სილაბუსის შაბლონები. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ პროგრამების სსუ-ის ფორმატში გადატანა ჯერ სრულად არ დასრულებულა. კერძოდ, რამდენიმე პროგრამის სტრუქტურა სრულად არ შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ შაბლონებს, ვინაიდან მათში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კრედიტების საათების განაწილებისა და სასწავლო კურსების წინაპირობების შესახებ. ანალოგიურად, ოთხივე პროგრამის სილაბუსები მიჰყვება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ადრე გამოყენებულ ფორმატებს და არა სსუ-ის მიერ დამტკიცებულ ფორმებს.

გარდა ამისა, არსებობს შეუსაბამობა სსუ-ის აკადემიურ კალენდარსა და წარმოდგენილი სილაბუსების სტრუქტურას შორის. მაშინ, როდესაც სსუ-ში სასწავლო სემესტრი 15

სასწავლო კვირას მოიცავს, ბევრი სილაბუსი კვლავ 13-კვირიან სასწავლო გრაფიკზეა აგებული, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან არის გადმოტანილი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს აღიარეს აღნიშნული საკითხი, საჭირო ცვლილებები ჯერ არ იყო დასრულებული. ვინაიდან პროგრამები სსუ-ის აკადემიური რეგულაციების შესაბამისად უნდა განხორციელდეს, განხორციელების დაწყებამდე უმნიშვნელოვანესია პროგრამის დოკუმენტაციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ინსტიტუციურ მოთხოვნებთან.
სასწავლო გეგმის განხილვამ ასევე გამოავლინა შიდა თანმიმდევრულობის გაძლიერების შესაძლებლობები წინაპირობებისა და სასწავლო კურსების მიმდევრობის უფრო ლოგიკური განლაგების გზით. ზოგიერთი წინაპირობის კავშირი სრულად არ ასახავს პროგრამების შინაარსობრივ პროგრესიას, ხოლო გარკვეული სასწავლო კურსების განთავსება შესაძლოა ხელახლა იქნეს განხილული ცოდნისა და უნარების ლოგიკური განვითარების გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობები კრედიტების განაწილებასა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების გადანაწილებაში.
საერთო ჯამში, პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი, ზოგადად, კვალიფიკაციის დონეებისა და სწავლის სფეროს შესაბამისია. თუმცაღა, საჭიროა გადმოტანილი პროგრამების შემდგომი ადაპტირება სსუ-ის ინსტიტუციურ ჩარჩოსთან, მეთოდოლოგიასა და აკადემიურ რეგულაციებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სრული შესაბამისობა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ზოგადად შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნებს და სტუდენტებს სთავაზობს ზოგადი განათლების, სპეციალიზებული კურსების, არჩევითი კურსებისა და პრაქტიკული სწავლების სათანადო ბალანსს. კურიკულუმში სახეზეა ლოგიკური პროგრესია საბაზო სამეცნიერო ცოდნიდან სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს სპეციალიზებულ საგნებსა და მათ გამოყენებამდე.

პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისა და არჩევითი მოდულების მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დარგის ფარგლებში განივითარონ როგორც ფართო, ისე სპეციალიზებული კომპეტენციები.

თუმცაღა, რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა. დაზუსტებას საჭიროებს უცხო ენის შესწავლისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ვინაიდან შეუსაბამობები გამოვლინდა კურიკულუმის დოკუმენტაციასა და ვიზიტის დროს წარმოდგენილ განმარტებებს შორის. პროგრამის დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული უცხო ენის კომპონენტისთვის განსაზღვრული კრედიტების ზუსტი რაოდენობა და თანმიმდევრულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის მასალებში. გარდა ამისა, სასწავლო კურსების მიმდევრობის განხილვა მიუთითებს, რომ გარკვეული წინაპირობების კავშირები გადახედვას საჭიროებს. კერძოდ, შესაძლებელია უფრო ძლიერი წინაპირობების კავშირების ჩამოყალიბება ისეთ სასწავლო კურსებს შორის, როგორიცაა „ჰიდრავლიკა“ და „სურსათის ტექნოლოგიური პროცესები და აპარატები“, ხოლო „სურსათის წარმოების მიკრობიოლოგიისა“ და „სურსათის უვნებლობის“ მიმდევრობა შესაძლოა გადაიხედოს ცოდნის ლოგიკური პროგრესიის უკეთ ასახვის მიზნით.

ზოგადი დაკვირვება უკავშირდება კურიკულუმის მკვეთრად გამოხატულ საინჟინრო და ტექნიკურ ორიენტაციას. ტექნიკურ და საინჟინრო კომპონენტებზე გაკეთებული აქცენტი დასაბუთებული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კონტექსტში, სადაც პროგრამა ტექნიკური უმაღლესი განათლების გარემოში შემუშავდა და ხორციელდებოდა. თუმცა, პროგრამის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადატანის შემდგომ, ტექნოლოგიურ, საინჟინრო და სასურსათო მეცნიერების კომპონენტებს შორის არსებული ბალანსის მიზანშეწონილობა დამატებით განხილვას

საჭიროებს. სათანადოდ არ არის დასაბუთებული, თუ რამდენად ასახავს არსებული კურიკულუმი სსუ-ის სტრატეგიულ პრიორიტეტებს, აკადემიურ პროფილს, ხელმისაწვდომ რესურსებსა და კურსდამთავრებულთა დაგეგმილ პროფილს. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს კურიკულუმის კომპლექსური გადახედვა, რათა დადგინდეს, რამდენად იქნება არსებული სტრუქტურა ოპტიმალური ახალ ინსტიტუციურ კონტექსტში და საჭიროა თუ არა ცვლილებების განხორციელება პროგრამის უნივერსიტეტის აკადემიურ გარემოსა და შრომის ბაზრის მოლოდინებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კურიკულუმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების განხილვამ გამოავლინა ცოდნისა და კომპეტენციების ლოგიკური პროგრესიის გაძლიერების რამდენიმე შესაძლებლობა წინაპირობების უფრო თანმიმდევრული სტრუქტურის მეშვეობით. კერძოდ, სასწავლო კურსი „ჰიდრავლიკა“ შესაძლოა წარმოადგენდეს სათანადო წინაპირობას კურსისთვის „სურსათის ტექნოლოგიური პროცესები და აპარატები“, ორივე საგანში განხილული ტექნიკური შინაარსისა და საინჟინრო პრინციპების გათვალისწინებით. ანალოგიურად, უფრო ძლიერი წინაპირობების კავშირები შეიძლება ჩამოყალიბდეს „სურსათის წარმოების მიკრობიოლოგიასა“ და „სურსათის უვნებლობას“ შორის, ვინაიდან პირველი სთავაზობს აუცილებელ სამეცნიერო საფუძვლებს სურსათის უვნებლობის სისტემებისა და რისკების მართვის გასაგებად. ასევე, მიზანშეწონილია „სურსათის წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობების“ პროფესიულ მოდულებში შემავალი უფრო სპეციალიზებული სურსათის ტექნოლოგიის კურსების წინაპირობად განსაზღვრაზე დაფიქრება. გარდა ამისა, შესაძლებელია გარკვეული სასწავლო კურსების მიმდევრობის გაუმჯობესება. მაგალითად, „სურსათის წარმოების მიკრობიოლოგია“ შესაძლოა კურიკულუმში უფრო ადრე იქნეს შეთავაზებული და განისაზღვროს „სურსათის უვნებლობის“ წინაპირობად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა კომპეტენციების უფრო ლოგიკური განვითარება.

შეფასებამ ასევე გამოავლინა რამდენიმე საკითხი კრედიტების მინიჭებასა და სასწავლო დატვირთვის განაწილებასთან დაკავშირებით. გარკვეული სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა, შესაძლოა, სრულად არ შეესაბამებოდეს მათი შინაარსის მასშტაბსა და სირთულეს. გარდა ამისა, ზოგიერთ სილაბუსში გამოვლინდა შეუსაბამობები საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების გაანგარიშებისა და განაწილების ნაწილში. აღნიშნული შეუსაბამობები უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ECTS-ის პრინციპებთან სრული შესაბამისობა და გაძლიერდეს სასწავლო დატვირთვის გაანგარიშების გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა მთელ კურიკულუმში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის სტრუქტურა, ზოგადად, შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნებს და მოიცავს სამეცნიერო, ტექნოლოგიური და პრაქტიკული კომპონენტების დაბალანსებულ კომბინაციას. საწარმოო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის ინტეგრირება დადებითად უწყობს ხელს პრაქტიკული და კვლევაზე ორიენტირებული კომპეტენციების განვითარებას.

კურიკულუმი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და ქმნის შესაძლებლობებს როგორც სპეციალიზაციის, ისე არჩევითი დისციპლინების სწავლებისთვის.

მიუხედავად ამისა, გამოვლინდა რამდენიმე გასაუმჯობესებელი მიმართულება. გარკვეულ სასწავლო კურსებს შორის კრედიტების განაწილება ყოველთვის სრულად თანმიმდევრული არ ჩანს კურსის მოცულობასა და სირთულესთან მიმართებით. კერძოდ, მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე „შრომის უსაფრთხოება სურსათის მრეწველობის საწარმოებში“, „ბიოქიმიის საფუძვლები“ და „სურსათის საწარმოს პროექტირების საფუძვლები“ მინიჭებული კრედიტების რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილ იყოს პროპორციულობა სასწავლო დატვირთვას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის.

გარდა ამისა, შესაძლებელია წინაპირობების სტრუქტურის გაძლიერება. მაგალითად, სასწავლო კურსზე „კვების ბიოქიმია“ სასარგებლო იქნებოდა უფრო ნათლად განსაზღვრული წინაპირობების დადგენა, რომლებიც ასახავდა კურსის წარმატებით გავლისთვის საჭირო სამეცნიერო საფუძვლებს.

ასევე რეკომენდებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების განაწილების გადახედვა, ვინაიდან რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში გამოვლინდა შეუსაბამობები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სასურსათო ტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა, ზოგადად, შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. სასწავლო კურსებს, არჩევით კომპონენტებსა და კვლევით ნაშრომს შორის არსებული ბალანსი ხელს უწყობს გაღრმავებული ცოდნის, ანალიტიკური უნარებისა და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას. არჩევითი ჯგუფების არსებობა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, განავითარონ ინდივიდუალური აკადემიური ინტერესები, თანმიმდევრული პროფესიული პროფილის შენარჩუნებით.

კვლევითი კომპონენტი სათანადოდ არის ინტეგრირებული კურიკულუმში და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის საერთო ორგანიზება ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის მოთხოვნებს.

პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოვლენილა. თუმცა, განხორციელებამდე კვლავ აუცილებელია პროგრამის დოკუმენტაციისა და სილაბუსების სრული ადაპტირება სსუ-ის მეთოდოლოგიურ ჩარჩოსთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა, ზოგადად, შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ მომზადებასა და კვლევით საქმიანობას შორის. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის ჩართვა განსაკუთრებით ღირებულია დარგის გამოყენებითი ხასიათის გათვალისწინებით.

კვლევითი კომპონენტის მიმდევრობა და შემდეგ ეტაპზე გადასვლამდე თითოეული ეტაპის წარმატებით დასრულების მოთხოვნა ლოგიკურ ჩარჩოს ქმნის კვლევითი კომპეტენციების განვითარებისა და აკადემიური პროგრესიისათვის.

თუმცაღა, კლასტერში შემავალი სხვა პროგრამებისგან განსხვავებით, კურიკულუმი არ მოიცავს უცხო ენის კომპონენტს. სურსათის უვნებლობის რეგულირების, ევროპული სურსათის კანონმდებლობის, სამეცნიერო კომუნიკაციისა და ხარისხის მართვის სისტემების ძლიერ ინტერნაციონალიზებული ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხილული იყოს დარგობრივი უცხო ენის კომპონენტის ან მსგავსი მექანიზმის ინტეგრირება საერთაშორისო კონტექსტში პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენციების გასაძლიერებლად.

საერთო ჯამში, პროგრამის სტრუქტურა შესაბამისია და ხელს უწყობს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუები შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურა და სილაბუსები და შესაბამისობაში მოვიდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიებთან, მათ შორის მოთხოვნილ ფორმატთან, წინაპირობებთან, კრედიტების და საათების განაწილებასთან და უნივერსიტეტის 15 კვირიან აკადემიურ კალენდართან. რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამების საერთო მოცულობა და უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო გეგემების შესაბამისობა 240 კრედიტის მოცულობის სტანდარტულ	

	ოთხწლიან სასწავლო დატვირთვასთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი კრედიტისთვის წარმოდგენილი იქნება მკაფიო აკადემიური დასაბუთება.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	რეკომენდებულია, სასწავლო გეგმები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 240 კრედიტის მოცულობის სტანდარტულ ოთხწლიან სასწავლო დატვირთვასთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი კრედიტისთვის წარმოდგენილი იქნება მკაფიო აკადემიური დასაბუთება.	სასურველია, გადაიხედოს და დაზუსტდეს უცხო ენის შესწავლისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და პროგრამის თითოეულ დოკუმენტში უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრულობა. სასურველია, გადაიხედოს შემდეგი სასწავლო კურსების წინაპირობების კავშირი: სასურსათო ტექნოლოგიური პროცესები და აღჭურვილობა, სურსათის წარმოების მიკრობიოლოგია, სურსათის უვნებლობა და პროფესიულ მოდულებში შემავალი სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალიზებული კურსები.
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	რეკომენდებულია, სასწავლო გეგმები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 240 კრედიტის მოცულობის სტანდარტულ ოთხწლიან სასწავლო დატვირთვასთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი კრედიტისთვის წარმოდგენილი იქნება მკაფიო აკადემიური დასაბუთება.	სასურველია, სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაიხედოს "სასურსათო ბიოქიმიის" სასწავლო კურსის და მასთან დაკავშირებული საბუნებისმეტყველო სასწავლო კურსების წინაპირობების სტრუქტურა. სასურველია, ხელახლა შეფასდეს სასწავლო კურსების "შრომის უსაფრთხოება კვების მრეწველობის საწარმოებში",

		"ბიოქიმიის საფუძვლები" და "სურსათის საწარმოს დაპროექტების საფუძვლები" კრედიტების განაწილება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა კურსის მოცულობას და დადგენილ დატვირთვას შორის. სასურველია, სილაბუსებში გასწორდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილებაში გამოვლენილი უზუსტობები.
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		სასურველია, პროგრამების განხორციელებამდე უნივერსიტეტმა დაასრულოს პროგრამის დოკუმენტაციის და სასწავლო კურსების სილაბუსების მორგება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილ მეთოდოლოგიურ და ფორმალურ მოთხოვნებთან.
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		სასურველია, დაინერგოს დარგობრივი უცხო ენის კომპონენტი ან სხვა მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ კომუნიკაციას საერთაშორისო სურსათის უვნებლობის, მარეგულირებელ და სამეცნიერო გარემოში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შეფასება
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში

დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები, ზოგადად, ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება შესაბამის საგანმანათლებლო საფეხურებზე მისანიჭებელ კვალიფიკაციებს. სილაბუსებში განსაზღვრულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების მიდგომები და რეკომენდებული ლიტერატურა. უმეტეს შემთხვევაში, იკვეთება მკაფიო კავშირი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. სასწავლო კურსების შინაარსი, ზოგადად, სასურსათო ტექნოლოგიის, სურსათის მეცნიერებისა და სურსათის უვნებლობის სფეროების შესაბამისია და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც აუცილებელია პროფესიული კომპეტენციების განვითარებისათვის.

სილაბუსების შესწავლამაჩვენა, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობა სათანადოდ უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლებიც გავლენას ახდენს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობაზე, გამორჩეულობასა და თანამედროვე რელევანტურობაზე. კერძოდ, როგორც პროგრამებში, ისე პროგრამებს შორის რიგ სასწავლო კურსებში იკვეთება შინაარსის, სწავლის შედეგებისა და ლიტერატურის არსებითი გადაფარვა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებული სახელწოდებებით არის შეთავაზებული. მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სასწავლო კურსებს შორისაც, სადაც კურსების სირთულისა და სიღრმის განსხვავებები ყოველთვის საკმარისად არ არის ასახული კურსების სახელწოდებებსა თუ აღწერებში. ამგვარი დუბლირება ასუსტებს ცალკეული სასწავლო კურსების გამორჩეულობას და შესაძლოა ზღუდავდეს კომპეტენციების პროგრესულად განვითარებას საგანმანათლებლო საფეხურებს შორის.

შესწავლის ფარგლებში რამდენიმე შემთხვევაში ასევე გამოვლინდა შეუსაბამობები სასწავლო კურსების სახელწოდებებსა და რეალურ შინაარსს შორის. ეს აჩენს კითხვებს სწავლის შედეგების გამჭვირვალობასთან და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ზუსტად არის ასახული კურსის შინაარსში ის კომპეტენციები, რომელთა შეძენაც სტუდენტებისგან არის მოსალოდნელი. გარდა ამისა, კრედიტებისა და სასწავლო დატვირთვის განაწილება ყოველთვის სრულად არ არის გამყარებული კურსის შინაარსის მოცულობითა და სირთულით.

სასურველია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა ზოგიერთი მოძველებული ტექნოლოგიური ლიტერატურის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოების

ისტორიული და თანამედროვე მეთოდების შედარებას ეხებოდა, გონივრული დასაბუთება წარმოადგინა, რეკომენდებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც მოძველებულია. ბევრ სილაბუსში თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციები, საერთაშორისო სტანდარტები და ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე ტენდენციები სათანადოდ არ არის წარმოდგენილი. სურსათის სექტორის სწრაფად განვითარებადი ხასიათის გათვალისწინებით, ლიტერატურის სისტემური განახლება გააძლიერებდა სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფდა მეტ შესაბამისობას თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მიღწევებთან.

ვინაიდან პროგრამები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადადის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლის შედეგების, ლიტერატურისა და შეფასების მიდგომების კომპლექსური გადახედვა კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს პროგრამების სსუ-ის აკადემიურ გარემოსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან ადაპტირებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

„სასურსათო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები, ზოგადად, შეესაბამება კვალიფიკაციის ტექნოლოგიურ ორიენტაციას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმი სტუდენტებს აძლევს ცოდნას სურსათის წარმოების ტექნოლოგიების, გადამუშავების ოპერაციების, აღჭურვილობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სურსათის უვნებლობის მიმართულებით.

თუმცაღა, შესწავლის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომელიც ყურადღებას საჭიროებს. სასწავლო კურსი „კონსერვირების ტექნოლოგია“ მოიცავს თემას „ჩაის წარმოების ტექნოლოგია“, მიუხედავად იმისა, რომ ჩაი არ მიეკუთვნება კონსერვირებულ პროდუქტებს. გარდა ამისა, სილაბუსში მითითებული ლიტერატურა

აღნიშნულ თემის დაუფლებას სათანადოდ არ უზრუნველყოფს. შესაბამისად, კურსის სახელწოდებას, შინაარსს, ლიტერატურასა და სწავლის შედეგებს შორის კავშირი სრულად დასაბუთებული არ არის. აღნიშნული საკითხი უკვე გამოვლენდა წინა აკრედიტაციის პროცესში, თუმცა ჯერ არ არის გამოსწორებული.

დამატებითი საკითხი უკავშირდება რამდენიმე სასწავლო კურსში გამოყენებულ ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული წყაროები კვლავაც ღირებულია ტექნოლოგიური პროცესების ევოლუციის გასააზრებლად, მოძველებული ლიტერატურის, მათ შორის ძველი რუსულენოვანი სახელმძღვანელოების, დომინირება სათანადოდ არ ასახავს სურსათის ტექნოლოგიის, სურსათის უვნებლობის, მდგრადობის, გაციფრულების და თანამედროვე ინდუსტრიული პრაქტიკის მიმართულებით არსებულ განვითარების ტენდენციებს. ლიტერატურის განახლება გააძლიერებდა სასწავლო კურსების სათანადოობას და ხელს შეუწყობდა სტუდენტების მიერ თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციების უკეთ გაცნობას .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები, ზოგადად, ასახავს კვალიფიკაციის ინტერდისციპლინურ ხასიათს და უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს სამეცნიერო საფუძვლებსა და გამოყენებით სასურსათო ტექნოლოგიებს შორის. ლაბორატორიული სამუშაოები, პრაქტიკული კომპონენტები და საბაკალავრო ნაშრომი ხელს უწყობს პროფესიული და კვლევასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებას.

ამავდროულად, შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლებიც უკავშირდება სასწავლო კურსების თანმიმდევრულობასა და დიფერენცირებას. სასწავლო კურსი „სურსათის მიკრობიოლოგია“ მოიცავს სამრეწველო, გარემოსა და ნიადაგის მიკრობიოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს, რაც სცდება კურსის სახელწოდებით ნაგულისხმევ ფარგლებს. შედეგად, სახელწოდება სრულად არ ასახავს კურსის რეალურ შინაარსს. შესაბამისად, ან კურსის შინაარსი უნდა ფოკუსირდეს უფრო კონკრეტულად სურსათთან დაკავშირებულ მიკრობიოლოგიურ პროცესებსა და საფრთხეებზე, ან კურსის სახელწოდება უნდა გადაიხედოს ისე, რომ უკეთ შეესაბამებოდეს მის შინაარსს.

რამდენიმე სპეციალიზებულ ტექნოლოგიურ სასწავლო კურსშიც იკვეთება შინაარსის, მიზნების, სწავლის შედეგებისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი გადაფარვა. ზოგიერთ შემთხვევაში, განსხვავებული სახელწოდებების მქონე კურსები, არსებითად, ერთსა და იმავე მასალას ფარავს, რაც ზღუდავს კურიკულუმის გამორჩეულობას და კითხვებს აჩენს სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კურსების სისტემური გადახედვა გააძლიერებდა

კურიკულუმის თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფდა თითოეული სასწავლო კურსის მეშვეობით განვითარებული კომპეტენციების უფრო მკაფიო დიფერენცირებას.

სასწავლო კურსი „ღვინის წარმოება კურკოვანი ხილის ნედლეულიდან“ საკმარისად არ ასახავს მის დეკლარირებულ ფოკუსს. მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება მიუთითებს კურკოვანი ხილისგან ღვინის წარმოების ტექნოლოგიებზე სპეციალიზაციაზე, კურსის შინაარსი და ლიტერატურა, ძირითადად, ორიენტირებულია ზოგადი ღვინის წარმოებისა და ყურძენზე დაფუძნებული ტექნოლოგიების საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება მიუთითებს კურკოვანი ხილის ღვინის ტექნოლოგიების მიმართულებით სპეციალიზაციაზე, კურსის შინაარსი და ლიტერატურა, ძირითადად, ორიენტირებულია ზოგადი ღვინის წარმოებისა და ყურძენზე დაფუძნებული ტექნოლოგიების საკითხებზე. შესაბამისად, სასწავლო კურსის შინაარსი და დამხმარე ლიტერატურა უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსის სახელწოდებას შორის.

საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი ამჟამად უმთავრესად ორიენტირებულია ტექნოლოგიურ პროექტირებაზე, პროცესების სქემებსა და საინჟინრო გაანგარიშებებზე. პროგრამის სამეცნიერო ორიენტაციის გათვალისწინებით, უფრო ფართო შესაძლებლობები უნდა შეიქმნას კვლევითი საბაკალავრო ნაშრომების თემებისთვის, რომლებიც დაკავშირებული იქნება სურსათის ხარისხთან, სურსათის უვნებლობასთან, მიკრობიოლოგიასთან, ფუნქციურ სურსათთან, შეფუთვის ტექნოლოგიებთან, მდგრადობასა და პროდუქტის განვითარებასთან. ამგვარი დივერსიფიცირება გააძლიერებდა კვალიფიკაციის სამეცნიერო პროფილს და ხელს შეუწყობდა ანალიტიკური და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სასურსათო ტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები, ზოგადად, შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებს და ხელს უწყობს გაღრმავებული პროფესიული და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას. კურიკულუმი ქმნის სპეციალიზაციისა და დამოუკიდებელი კვლევის შესაძლებლობებს და ხელს უწყობს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა, სასწავლო კურსების შინაარსის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სამაგისტრო საფეხურზე შეთავაზებული საგნები არსებით მსგავსებას ავლენს საბაკალავრო საფეხურზე სასწავლო კურსებთან. მიუხედავად იმისა, რომ იმავე ტექნოლოგიური მიმართულებების გაღრმავებული შესწავლა დასაბუთებულია, სირთულეს, ანალიტიკური სიღრმესა და კვლევით ორიენტაციას შორის განსხვავება უფრო ნათლად უნდა აისახოს სასწავლო კურსების შინაარსში, სწავლის შედეგებსა და

სახელწოდებებში. აღნიშნული დიფერენცირების გაძლიერება კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს სამაგისტრო საფეხურის კომპეტენციების პროგრესულ განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები, ზოგადად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სტუდენტებს აძლევს გაღრმავებულ ცოდნასა და კომპეტენციებს სურსათის უვნებლობის მართვის, რეგულირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების შეფასების მიმართულებით. პროგრამის შინაარსი, ზოგადად, სამაგისტრო საფეხურის შესაბამისია და მხარს უჭერს სათანადო ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას.

ამავდროულად, სასწავლო კურსების ლიტერატურის შემდგომი მოდერნიზება და ისეთი განვითარებადი თემების ინტეგრირება, როგორიცაა ციფრული მიკვლევადობის სისტემები, სურსათის უვნებლობის მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევები, ხარისხის მონაცემებზე დაფუძნებული მართვა და რეგულაციების მიმართულებით ევროპაში არსებული განვითარების თანამდროვე ტენდენციები, კიდევ უფრო გააძლიერებდა კურიკულუმის თანამედროვეობასთან შესაბამისობას და ხელს შეუწყობდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე,	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო

	მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამებს შორის და უშუალოდ პროგრამებში გამოვლენილი იდენტური შინაარსის მქონე სასწავლო კურსები, იმისათვის რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო კურსისი შინაარსი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო დონეზე	რეკომენდებულია გამოყენებული ლიტერატურა სისტემატურად განახლდეს კლასიკური და ისტორიული წყაროების თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციებით, საერთაშორისო სტანდარტებითა და ტექნოლოგიური განვითარებების უახლესი ტენდენციების გზით.
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	რეკომენდებულია, სასწავლო კურსიდან " კონსერვების ტექნოლოგია" ამოღებულ იქნეს თემა "ჩაის წარმოების ტექნოლოგია" და კურსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი განსაზღვრულ თემატიკასთან. რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურა და შემცირდეს მოძველებული წყაროების გამოყენება, განსაკუთრებით იმ სასწავლო კურსებში, სადაც ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო და პროფესიული ლიტერატურა.	
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის		სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსის "კურკოვანი ხეხილის ნედლეულისგან ღვინის წარმოება" შინაარსი და

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		ლიტერატურა, იმისათვის, რომ ადეკვატურად იქნეს განხილული კურკოვანი ხილისგან ღვინის წარმოების ტექნოლოგიები.
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსი „სურსათის მიკრობიოლოგია" და უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა კურსის სახელწოდებას, შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შორის.
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		სასურველია, გადაიხედოს სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნეს სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული აქტუალური მიმართულებები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი/საგანი	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სსუ-ს განსაზღვრული აქვს სტუდენტების პროგრამაზე დაშვების სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

კლასტერში შემავალი თითოეული პროგრამის დაშვების წინაპირობები გამომდინარეობს პროგრამის სპეციფიკიდან, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას.

დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და სწავლების საფეხურს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ასევე ნათლად არის მითითებული სწავლების ენა.

სტუდენტების მიღება ხდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განხორციელების მექანიზმი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, რესურსებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მიერ შერჩეული ინდიკატორების ფაქტობრივ და სამიზნე მნიშვნელობებს, რაც თითოეული სტუდენტისთვის ქმნის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

აღნიშნული წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების თანახმად, უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი საბაკალავრო საფეხურზე არის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდასა და მაგისტრატურაში მისაღებ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას. აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებიც ფლობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლის უფლებას, სტუდენტის სტატუსი სსუ-ში ენიჭებათ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

უნივერსიტეტში მისაღები კონტინგენტის ფარგლებში განისაზღვრება ადგილები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომელთა ჩარიცხვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, ჩაუტარდება გასაუბრება პროგრამის სწავლების ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით.

სსუ-ში მობილობით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

შიდა მობილობის პროცედურა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება წელიწადში ორჯერ - გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. სსუ-ის სტუდენტს შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს

სწავლების მეორე წლიდან. შიდა მობილობა ხორციელდება უმაღლესი განათლების ერთი და იგივე საფეხურის ფარგლებში. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება სსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი „სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველი ან/და გადმოსული, სტატუს-აღდგენილი სტუდენტების კრედიტების აღიარების წესის“ შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

შესაბამის პროგრამებზე ოფიციალური კანდიდატების რაოდენობა (როგორც საერთო რაოდენობა, ისე პირველი სამი არჩევანი) ასევე ჩარიცხული სტუდენტებისა და შიდა და გარე მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობა თანდართულ დოკუმენტებში ვერ იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან პროგრამები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად ხორციელდება.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები აქამდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდებოდა, თუმცა მთავრობის მიერ განხორციელებული განათლების რეფორმის შესაბამისად, ისინი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოვიდა. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წელს აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხვა კვლავ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში ხორციელდება; შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. ზოგადად, ქართულ უნივერსიტეტებში სამაგისტრო საფეხურზე დაშვების წინაპირობები ერთმანეთისგან პრინციპულად არ განსხვავდება, თუმცა პროგრამების აკრედიტაცია და მათი ახალ უნივერსიტეტში განხორციელება საჭიროებს დაშვების წინაპირობების სსუ-ის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანას. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და შესაბამისმა ფაკულტეტმაც გამოხატეს სრული მზადყოფნა აღნიშნულის განსახორციელებლად.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროების მიხედვით: 0511 ბიოლოგია; 0512 ბიოქიმია; 0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები; 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია; 0721 სურსათის გადამუშავება; 0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა; 0841 ვეტერინარია. აღნიშნული პირი პროგრამაზე ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სსუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძველზე. საგამოცდო საკითხები/ტესტები განთავსდება სსუ-ის ვებგვერდზე.

2. სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტებს, რომლებმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს და დაასრულეს ინგლისურენოვანი პროგრამა, არ მოეთხოვებათ გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა. აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ სერტიფიკატს/დოკუმენტს, ვალდებულია ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა ინგლისურ ენაში - B2 დონეზე.

3. პროგრამაზე ჩარიცხვა ერთანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე ნებადართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

4. მობილობა

გარე მობილობა - საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტები ასევე დაიშვებიან შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროების მიხედვით: 0511 ბიოლოგია; 0512 ბიოქიმია; 0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები; 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია; 0721 სურსათის გადამუშავება; 0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა; 0841 ვეტერინარია. აღნიშნული პირი პროგრამაზე ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სსუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძველზე. საგამოცდო საკითხები/ტესტები განთავსდება სსუ-ის ვებგვერდზე.

2. სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტებს, რომლებმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს და დაასრულეს ინგლისურენოვანი პროგრამა, არ მოეთხოვებათ გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა. აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ სერტიფიკატს/დოკუმენტს, ვალდებულია ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა ინგლისურ ენაში - B2 დონეზე.

3. პროგრამაზე ჩარიცხვა ერთანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე ნებადართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

4. მობილობა

გარე მობილობა - საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტები ასევე დაიშვებიან შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,

- სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი
- ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუ

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის	რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების	

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	წინაპირობები განისაზღვროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად.	
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად.	

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში გაერთიანებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, აგრეთვე შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც განაპირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი. მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები არაერთ ორგანიზაციასთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანდართულ დოკუმენტაციას შორის წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინა ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები. შესაბამისად, საჭიროა მათი განახლება ან უნივერსიტეტის მოქმედი ადმინისტრაციის მიერ ხელახლა გაფორმება.

ამასთანავე, თვითშეფასების ანგარიშზე დართული დოკუმენტაცია არ მოიცავს დამსაქმებლებთან გაფორმებულ არცერთ ხელშეკრულებას ან მემორანდუმს. მნიშვნელოვანია აღნიშნული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება. **რეკომენდებულია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ბიზნესსექტორთან, საკომუნიკაციო არხების (აქტიური) გაძლიერება და ჩამოყალიბება, რათა ხელი შეეწყოს ახალი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან და მდგრად განხორციელებას.**

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ეხმარება სტუდენტს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში განვითარებაში.

უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი ინსტრუქციების (წესების) თანახმად, პრაქტიკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებასა და მის სრულფასოვნად წარმართვაზე. მიმღები დაწესებულება ნიშნავს მენტორს, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სტუდენტებს აღნიშნულ დაწესებულებაში. პრაქტიკის მიმდინარეობისას სტუდენტი იცავს მიმღები დაწესებულების შინაგანაწესს, უსაფრთხოებისა და ეთიკის სტანდარტებს, ასრულებს კონკრეტულ სამუშაოებს და აწარმოებს პრაქტიკის დღიურს - პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და მენტორის მითითებების შესაბამისად. პრაქტიკის ანგარიშს განიხილავს (აწარმოებს) ფაკულტეტზე შექმნილი კომისია.

პრაქტიკის პერიოდში სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართულობის შემთხვევაში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს მის საქმიანობას.

პროგრამების, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია მათი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვით, რომლებსაც ხელმძღვანელობენ აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ტარდება ყოველწლიური სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სექციები, რომლებშიც მონაწილეობენ ყველა საფეხურის სტუდენტები.

პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობენ სამეცნიერო-პრაქტიკულ დაწესებულებებში სტაჟირების განხორციელებას ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების პერიოდში. ისინი აგრეთვე გეგმავენ აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრებს ფაკულტეტის სტუდენტებთან.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სტაჟირების წარმართვის პროცედურა განისაზღვრება სტუ-ის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიით. ზოგადად, სტაჟირების პროცედურა უნივერსიტეტებში იდენტურია, თუმცა, მაინც უმჯობესია მისი განხორციელება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ვიზიტის დროს გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უკავშირდება აგრარულ ფაკულტეტის ყოფილ შენობაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ბაზების გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული ბაზები აქტიურად არიან ჩართული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამების განხორციელებაში, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში. ამგვარად, დაისვა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (SSU) შორის დეტალური თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ, რაზეც ადმინისტრაციის მხრიდან მიღებულ იქნა დადებითი პასუხი. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო ვიზიტის დასრულების შემდეგ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საბაკალავრო პროგრამა „კვების ტექნოლოგია“
- საბაკალავრო პროგრამა „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“
- სამაგისტრო პროგრამა „კვების ტექნოლოგია“
- სამაგისტრო პროგრამა „სურსათის უვნებლობა“
- https://www.sou.edu.ge/images/file/1613488336--2020_sabakalavro%20programis%20instruqcia.pdfhttps://www.sou.edu.ge/images/file/1613488348--2020_samagistros%20instruqcia.pdf
- • ხელშეკრულებები/მემორანდუმები სტაჟირების (პრაქტიკის) შესახებ
- • უნივერსიტეტში ჩატარებული სტუდენტური კონფერენციები
- სტაჟირების ანგარიშები
- სტუდენტთა გამოკითხვები:
- პროგრამის დირექტორთან ინტერვიუ
- ინტერვიუები სტუდენტებთან;
- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს და ოფიციალურად გააფორმოს თანამშრომლობა შესაბამის დამსაქმებლებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და	

	ინდუსტრიის პარტნიორებთან მდგრადი პარტნიორული მექანიზმების მეშვეობით, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს პრაქტიკული სწავლების, სტაჟირების, გამოყენებითი კვლევითი აქტივობების და საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტების ეფექტურ განხორციელებას, რაც ამავე დროს უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებებთან	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერის ფარგლებში გამოიყენება სწავლების თანამედროვე, ინტერაქტიული მეთოდები, რაც სტუდენტებს აძლევს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობას და ხელს უწყობს მათში ზოგადი და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას.

ორივე აკადემიურ საფეხურზე თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საფეხურს, სრულად ასახავს კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და სრულად აკმაყოფილებს კონკრეტული სფეროს მოთხოვნებს.

პროგრამებში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, სემინარი (ჯგუფური მუშაობა), პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, სტაჟირება (პრაქტიკა), საკურსო ნაშრომები/პროექტები, კონსულტაციები და დამოუკიდებელი მუშაობა. აღნიშნული კომპონენტების ერთობლივი გამოყენება ეხმარება აკადემიურ პერსონალს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაში და ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას. მრავალფეროვანი აქტივობები (პრაქტიკული დავალებების შესრულება, საშინაო დავალება, ლაბორატორიული დღიურები, ლაბორატორიული სამუშაოს დემონსტრირება, წერითი დავალებები) უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მათ ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას, ასევე აძლიერებს ინტერაქციას აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის.

სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირი, რაც ასახულ იქნა პროგრამების კლასტერის განვითარების პროცესში. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების სისტემის გაუმჯობესებას, კერძოდ, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში პრაქტიკული და ლაბორატორიული უნარების შეფასების მექანიზმების დანერგვას. პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდები ნათლად არის აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციაში.

ვიზიტის ფარგლებში, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ნიუანსი – სპეციალობის საგნების შუალედური/დასკვნითი გამოცდა, რომელიც შერეული ფორმისაა (მაგ. ლაბორატორიული სამუშაოს დემონსტრირება და ღია/დახურული ტესტირება), ტარდება ადგილზე, ლექტორის მეთვალყურეობით. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სსუ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დებულების) მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად – „შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია

წერითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არანაკლებ 20-ქულიანი წერითი კომპონენტით"; ამავე წესის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად – „დასკვნითი შეფასებების/გამოცდის წერითი ფორმით ჩატარებას უზრუნველყოფს სსუ- ის საგამოცდო ცენტრი"; საგნების უმრავლესობის შუალედური/ დასკვნითი გამოცდის კომპონენტი წარმოადგენს წერით კომპონენტს (ღია/ დახურული ტესტი); შუალედური/ დასკვნითი გამოცდისთვის განკუთვნილი დრო შესაძლოა ვერ გაკონტროლდეს ლექტორის მიერ და ხშირ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება სტუდენტების მიმართ მის კეთილ ნებაზე. საგამოცდო ცენტრი შეძლებს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრასა და დროის კონტროლს. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებულ იქნა საგამოცდო ცენტრიც, რომელიც უკვე აღჭურვილია შესაბამისი საგამოცდო კომპიუტერებით; ამ ეტაპზე მათ შეუძლიათ ერთდროულად 150 სტუდენტის მომსახურება და ამჟამად მოლოდინის რეჟიმშია ნაკადების შესავსებად. ამრიგად, საგამოცდო ცენტრი უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული ძირითადი სპეციალობის საგნების შერეული ფორმის გამოცდების ჩატარების პროცესში.

ამის გათვალისწინებით, სასურველია სილაბუსში დაზუსტდეს შუალედური/დასკვნითი გამოცდების ჩატარების ადგილი, მაგალითად, ტარდება ის საგამოცდო ცენტრში თუ სასწავლო აუდიტორიასა/ლაბორატორიაში. აღნიშნული დეტალის დამატება სილაბუსებს უფრო ნათელსა და გასაგებს გახდის სტუდენტებისთვის, ასევე უზრუნველყოფს სილაბუსების ფორმატის მეტ სტანდარტიზაციასა და სისტემურ ორგანიზებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- • სსუ- ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დებულება)
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- • მატერიალური რესურსების მიმოხილვა

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაციები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**<u>რჩევები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:		სასურველია, საგამოცდო ცენტრი უფრო აქტიურად ჩაერთოს სპეციალობის საგნების შუალედური/დასკვნითი გამოცდების ჩატარებაში, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან შეფასებას. სასურველია, სილაბუსებში მკაფიოდ მიეთითოს შუალედური / დასკვნითი გამოცდების ჩატარების დრო და ადგილი. აღნიშნული დეტალების დამატება ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსის სიცხადეს, სტანდარტიზაციას და სისტემატიზაციას.
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო		

საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი [2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები]	**შეფასება**
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (დასახელება, დონე)	შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (დასახელება, დონე)	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამა მოიცავს სტუდენტების შეფასების სისტემას, რომელიც ნათლად არის აღწერილი და შეესაბამება უმაღლესი განათლების სფეროში გავრცელებულ პრაქტიკას. შეფასება ეფუძნება 100-ქულიან სისტემას, რომელიც მოიცავს ხუთ დადებით შეფასებას (A–E) და ორ უარყოფით შედეგს (FX და F). სასწავლო პროგრამაში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: წერითი და ზეპირი გამოცდები, საშინაო დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები და პრეზენტაციები. აღნიშნული ლექტორებს საშუალებას აძლევს შეარჩიონ შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.

შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმებისა და სასწავლო პროცესის მართვის სისტემების საშუალებით.

სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები სრულიად გამჭვირვალეა. სტუდენტებმა კმაყოფილება გამოხატეს ლექტორებთან თანამშრომლობით და აღნიშნეს, რომ უკუკავშირი მიეწოდებათ დროულად და კონსტრუქციულად.

ადგილზე ვიზიტისას სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათ პირადად არ ჰქონიათ შემთხვევა, რომელიც შეფასების შედეგების გასაჩივრებას მოითხოვდა. მათ არ გამოუთქვამთ პრეტენზია შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა ან სამართლიანობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, სტუდენტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი საჭიროების შემთხვევაში აპელაციის პროცედურის შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ტესტის შედეგებთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში, ისინი თავიანთ ნამუშევრებს უშუალოდ ლექტორებთან განიხილავენ.

სასწავლო კურსების ფარგლებში, ყოველი სემესტრის ბოლოს, ლექტორები სტუდენტებს აწვდიან უკუკავშირს მათი სწავლის შედეგების, მათ შორის, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ინტერვიუების მსვლელობისას ასევე დადასტურდა, რომ სტუდენტები

ინარჩუნებენ მჭიდრო კომუნიკაციას თავიანთ საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ზოგადად კარგად არიან ინფორმირებულნი ნაშრომის მომზადების, აკადემიური წერის მოთხოვნებისა და შესაბამისი რეგულაციების შესახებ, გამოიკვეთა ერთი სუსტი მხარე. სტუდენტები ნაშრომებში გამოყენებული წყაროებისთვის არ იყენებენ სათანადო ტექსტის შიდა ციტირებებს და წყაროებს მხოლოდ ბიბლიოგრაფიაში უთითებენ. მსგავსი პრობლემა გამოვლინდა წინა წლებში დაცულ ნაშრომებშიც, სადაც არ იყო გამოყენებული სათანადო ტექსტის შიდა ციტირებები და წყაროები მხოლოდ ბიბლიოგრაფიაში იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ნაშრომის მომზადების, დაცვისა და შეფასების მარეგულირებელ დოკუმენტებში არ იყო გათვალისწინებული რაიმე მოთხოვნა აკადემიური ციტირების სტანდარტებთან დაკავშირებით. ამიტომ, მომავალში აუცილებელია ამ საკითხის მოგვარება.

აღსანიშნავია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის პოლიტიკა. თითოეული ნაშრომი მოწმდება პლაგიატის აღმოჩენის სპეციალური პროგრამის საშუალებით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, ინტერვიუებსა და ადგილზე ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემა ზოგადად აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების მოთხოვნებს. შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმებისა და უკუკავშირის შესახებ, ხოლო შეფასების პრაქტიკა ხელს უწყობს სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას.

ამავდროულად, კვლევითი კომპონენტის ანალიზმა გამოავლინა ხარვეზები, რომლებიც უკავშირდება აკადემიური ციტირების პრაქტიკას. კერძოდ, აუცილებელია პროგრამის დოკუმენტებში მკაფიოდ განისაზღვროს ციტირების ერთიანი სტანდარტი და გაძლიერდეს მისი პრაქტიკული გამოყენება სტუდენტთა ნაშრომებში. ამ სფეროს გაუმჯობესება ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების უკეთ დაცვას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ

საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაინერგოს აკადემიური ციტირების ერთიანი სტანდარტი და მკაფიოდ აისახოს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში, ასევე გაძლიერდეს მისი პრაქტიკული გამოყენება სტუდენტების კვლევით ნაშრომებში.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო		

საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)		
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)		
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)		
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. სტუდენტის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო	მეტწილად შესაბამისობაშია

საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია

3.სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

თვითშეფასების ანგარიშზე, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნათელია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და

საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციაში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველკურსელებისთვის. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ინარჩუნებს მჭიდრო კომუნიკაციას სტუდენტებთან, რაც თავად სტუდენტებმაც დაადასტურეს ინტერვიუების მსვლელობისას.

უნივერსიტეტი იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან თავიანთი უფლებების შესახებ და კარგად ესმით ისინი. ინტერვიუების მსვლელობისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მათ გააცნო საკუთარი უფლებები და კანონიერი ინტერესები. სტუდენტები ასევე იცნობენ აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს.

სტუდენტები აქტიურად იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას სწავლებისა და სასწავლო პროცესის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზად არის, დაეხმაროს სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო ტრაექტორიის დაგეგმვაში. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციები ლექტორებთან სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ საკონსულტაციო საათებში.

დასაქმების ფორუმები უნივერსიტეტის რეგულარული პრაქტიკაა. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა დამსაქმებელთან, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტების კარიერული განვითარებისთვის. გარდა ამისა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობას, მათ შორის საჯარო ლექციებს. აღნიშნული სტუდენტებს აძლევს დამატებით შესაძლებლობებს მათი აკადემიური კურსების მიღმა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა აკადემიურ აქტივობაში მონაწილეობის შესაძლებლობას, მათ შორის კონფერენციებსა და სხვა აკადემიურ ღონისძიებებში. სტუდენტები ამ აქტივობების შესახებ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ვებგვერდის, სოციალური მედიის, ფეისბუქ-ჯგუფებისა და პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობს Erasmus+ პროგრამაში და ჰყავს რამდენიმე საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი. ეს სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში და მიიღონ საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილება.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს და ხელს უწყობს მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ორგანიზებას უწევს სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს. გარდა ამისა, სტუდენტების ინიციატივით დაარსდა რამდენიმე სტუდენტური კლუბი, რომლებიც მოიცავს ინტერესთა ფართო

სპექტრს. კლუბები დამოუკიდებლად აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებს. ინტერვიუების მსვლელობისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეთავაზებული აქტივობები მათი ინტერესების შესაბამისია.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები არიან კარგად ინფორმირებულნი, ხოლო მათი უფლებები დაცულია. სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კომუნიკაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვას. უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას, განიხილოს სტუდენტების საჭიროებებთან და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

დაწესებულება აქტიურად ახალისებს სტუდენტების აკადემიურ და პროფესიულ წინსვლას სხვადასხვა ღონისძიების, კონფერენციისა და საერთაშორისო პროგრამების შეთავაზების გზით. Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილების შეძენის ფართო ასპარეზს უხსნის, სხვადასხვა სტუდენტური აქტივობა კი საფუძველს უყრის მრავალფეროვან და სიცოცხლით სავსე საუნივერსიტეტო ცხოვრებას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები; ისინი სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებულობას, მათი უფლებების დაცვასა და ხელს უწყობენ მათ აკადემიურ, პროფესიულ თუ სოციალურ განვითარებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი;
- უნივერსიტეტის წესდება

- მიმდინარე და ჩატარებული პროექტები.
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულების კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტაცია და ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:		
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ვინაიდან აღნიშნული პროგრამები ახალია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ხელმძღვანელობის მექანიზმების

ანალიზი სხვა პროგრამებთან მიმართებით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ხელმძღვანელთა სიის წარმოუდგენლობის გამო, შესაბამისი ცხრილი არ შევსებულა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 4.2 კომპონენტში გაიცა კონკრეტული რეკომენდაცია.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს კვლევითი ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესებს.

აღნიშნულ პროცესში აქტიურად არის ჩართული აკადემიური პერსონალი, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ კონსულტაციები სასწავლო კურსებთან, სამეცნიერო ხელმძღვანელობასა თუ სხვა აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოება სტუდენტებმაც დაადასტურეს ინტერვიუებისას.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურების შესახებ და აცნობიერებენ საკუთარ უფლებებს. ნაშრომის სპეციფიკიდან და თემატიკიდან გამომდინარე, სტუდენტს შესაძლოა დაენიშნოს თანახელმძღვანელიც, რასაც უნივერსიტეტი სრულად უჭერს მხარს. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სათანადოდ არიან ინფორმირებულნი ამ შესაძლებლობის შესახებ.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ხელმძღვანელები სტუდენტებთან რეგულარულ კონსულტაციებს მართავენ, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული სილაბუსით. სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი, ასევე ასოცირებული პროფესორი ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორი. მოქმედი რეგულაციების თანახმად, ერთ ხელმძღვანელს უფლება აქვს ერთ სემესტრში ზედამხედველობა გაუწიოს არაუმეტეს ხუთ სამაგისტრო ნაშრომს. აღნიშნული მოთხოვნა უნივერსიტეტში სრულადაა დაცული.

სტუდენტებთან ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება რომ ისინი სრულად არიან ინფორმირებულნი კვლევით პროცესში საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. სტუდენტები თავისუფალნი არიან სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევაში, საკუთარი აკადემიური ინტერესების შესაბამისად. აღნიშნული გარემოება, ინტერვიუების დროს აკადემიურმა პერსონალმაც სრულად დაადასტურა. სტუდენტები ჯერ ირჩევენ ხელმძღვანელს, შემდგომ — საკუთარი ინტერესების შესაბამისად — განსაზღვრავენ თემას, იღებენ სათანადო უკუკავშირს და ამის შემდეგ იწყებენ ნაშრომზე მუშაობას.

სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ ხელმძღვანელებთან აქტიურ და პირდაპირ კომუნიკაციას ინარჩუნებენ. მათი თქმით, ხელმძღვანელებთან დაკავშირება შესაძლებელია როგორც პირადად, ისე ელექტრონული საშუალებებით.

ხელმძღვანელები სტუდენტებთან რეგულარულ კონსულტაციებს მართავენ. ისინი ჯეროვნად ასრულებენ ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს

და აქტიურად არიან ჩართულნი კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის შემუშავებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ჩაერთონ აკადემიური პუბლიკაციებისა და სტატიების მომზადებაში.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სათანადო გარემო კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერას, ხელმძღვანელების ხელმისაწვდომობასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიან მართვას.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	23
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	2

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0,09

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური)	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	15
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	2
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0,13

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებ-გვერდი;
- სამაგისტრო პროგრამის გზამკვლევი
- დაკავშირებული აკადემიური პროგრამების ფარგლებში დაცული დისერტაციები;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, დაცვისა და შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ,	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ,

	ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:		
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	შესაბამისობაშია

პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,VI საფეხური)	შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერი აერთიანებს ოთხ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ და მხარდაჭერილია როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ისე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამსახურების მიერ.

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები თავდაპირველად შემუშავდა სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. პროგრამების შემუშავებაში ჩართული პირების ექსპერტიზა და გამოცდილება, ზოგადად, შეესაბამება სურსათის ტექნოლოგიის, სურსათის მეცნიერებისა და სურსათის უვნებლობის დისციპლინურ მოთხოვნებს.

მიუხედავად ამისა, აკრედიტაციის შეფასების მომენტისთვის, უნივერსიტეტმა ვერ შეძლო დამარწმუნებელი მტკიცებულებების წარმოდგენა იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის შესახებ, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამების პრაქტიკულ განხორციელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების ჩატარებას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფისთვის არ ყოფილა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები ან სხვა სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებები.

ამასთანავე, აკადემიური აფილირების საკითხი კვლავაც არასაკმარისად ნათელია. ინტერვიუების პროცესში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა ვერ წარმოადგინა მკაფიო ინფორმაცია საკუთარი სამომავლო აკადემიური აფილირების სტატუსთან დაკავშირებით, კერძოდ, გააგრძელებდნენ თუ არა აკადემიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში თუ ორივე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის სრულყოფილად დადასტურება შეუძლებელია.

პერსონალის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, სავარაუდოდ, უკავშირდება მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმასა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროცესს. მიუხედავად აღნიშნულისა, აკრედიტაციის მიზნებისთვის უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფორმალურად არის ჩართული პროგრამების განხორციელების პროცესში და პროგრამების ამოქმედების მომენტისთვის უზრუნველყოფილი იქნება მათი ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული მოიცავს ბაკალავრიატის პირველი კურსის პროგრამებს, რომელთა განხორციელება ინტერვიუების დროს დეკლარირებულ იქნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, თუმცა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებებით აღნიშნული ინფორმაცია არ დადასტურდა.

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციები ზოგადად შეესაბამება მოთხოვნებს, პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალის ფაქტობრივი საკადრო მოდელი, სახელშეკრულებო ურთიერთობები და აფილირების სტატუსი საჭიროებს დამატებით დაზუსტებასა და ფორმალიზებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამების მდგრადი განხორციელება და აკრედიტაციის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი დატვირთვის მონაცემები და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ამჟამად აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტატუსს. აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობის ეტაპზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა დაზუსტებული ინფორმაცია იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან გადმოტანილი პროგრამების განხორციელებაზე, ვინაიდან შესაბამისი რეკრუტირების/შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტაცია ჯერ კიდევ არ იყო მზად.

შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფაქტობრივი შემადგენლობა, მათი დატვირთვის განაწილება, აფილირების სტატუსი და პროგრამების განხორციელებაში მათი გრძელვადიანი ჩართულობა საბოლოოდ ვერ იქნა დადასტურებული.

რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს, დააზუსტოს და ოფიციალურად დაადასტუროს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა. უნივერსიტეტმა უნდა წარმოადგინოს ხელმოწერილი ხელშეკრულებები და დაადასტუროს, რომ დანიშნული პერსონალის კვალიფიკაცია, აკადემიური მიღწევები და

პროფესიული გამოცდილება სრულად შეესაბამება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მხარდაჭერით ხორციელდება, წარმოდგენილი მტკიცებულებები აღნიშნულ მოსაზრებებს სრულად ვერ ასაბუთებს. ინტერვიუების დროს წარმოდგენილი განმარტებების თანახმად, პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის სერვისებსა და სტრუქტურულ ერთეულებში, ასევე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტზე.

თუმცა, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აღნიშნული მოწყობის საკმარისად დადასტურებას არ უზრუნველყოფს. აღნიშნული ტიპის განცხადებები უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტურად დადასტურებული, რაც წარმოდგენილ დოკუმენტაციის პაკეტში არ იყო წარმოდგენილი. წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებები, დეტალური თანამდებობრივი ინსტრუქციები ან პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები. შესაბამისად, შეუძლებელი იყო საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერაში პერსონალის ჩართულობის ხარისხისა და ხასიათის გადამოწმება.

ზემოაღნიშნული მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, სრულად ასახავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის დატვირთვასა და სტატუსს. აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობისას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვერ შეძლო ზემოაღნიშნული მონაცემების დაზუსტება, ვინაიდან მიმდინარეობდა საკონკურსო პროცედურები. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მონაცემები სამუშაო დატვირთვის განაწილების, აფილირების და პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პერსონალის აკადემიური და პროფესიული პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და მდგრადობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

აღსანიშნავია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილები და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა ეფუძნება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედ პერსონალის მონაცემებს, დატვირთვის განაწილებასა და აკადემიურ ჩართულობას. შესაბამისად, ისინი ასახავს არსებულ მდგომარეობას

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და არა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამების სამომავლო განხორციელების მოდელს.

ვინაიდან პროგრამების გადაცემა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის რეკრუტირებისა და საკადრო პროცედურები სრულად არ არის დასრულებული, აღნიშნული მონაცემები არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფაქტობრივი შემადგენლობის, დატვირთვის განაწილებისა და მდგრადობის შესახებ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა განიმარტოს როგორც პროგრამების სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეუფერხებელი და სრულად უზრუნველყოფილი გადაცემის დადასტურება, არამედ იგი ასახავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული პროგრამების განხორციელების მიმდინარე მოდელს.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[4]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[5]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[4] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[5] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**42**	**36**	**36**	**36**
- პროფესორი	17	15	15	17
- ასოცირებული პროფესორი	15	13	13	13
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტი	1	1	0	1
მოწვეული პერსონალი	5	5	5	0
სამეცნიერო პერსონალი	1	1	1	0

სურსათის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს პროფესორი, ინჟინერიის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც პროგრამის უძღვება 2020 წლიდან. იგი ასევე ასრულებს ქართულ-ფრანგული ორმაგი დიპლომის პროგრამის ქართველი თანახელმძღვანელის ფუნქციას. იგი ფლობს პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ექსპერტიზასა და ცოდნას, რაც დასტურდება მისი სამეცნიერო, პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობით. არის 139 სამეცნიერო და ტექნიკური პუბლიკაციის ავტორი, არის ორი გამოგონების ავტორი და ერთი მონოგრაფიის თანაავტორი, აქვს შვიდ სრულად დაფინანსებულ პროექტში მუშაობის გამოცდილება და დაჯილდოებულია ორი ჯილდოთი. პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებაში და ზედამხედველობს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებულმა ინტერვიუმ გამოავლინა მისი აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესების პროცესში. უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამას უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია მათ ფუნქციურ მოვალეობებთან, როგორც ეს უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მათზე დაკისრებულ ფუნქციურ პასუხისმგებლობებს.

პროგრამის დანართებში წარმოდგენილია თითოეული პერსონალის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სამეცნიერო პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, გამოგონებები და სხვა შესაბამისი მასალები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)

პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**41**	**28**	**28**	**28**
- პროფესორი	25	17	17	17
- ასოცირებული პროფესორი	10	7	7	7
- ასისტენტ–პროფესორი	3	2	1	3
- ასისტენტი	1	1	0	1
მოწვეული პერსონალი	2	1	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს ინჟინერიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იგი ფლობს პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ექსპერტიზასა და ცოდნას, რაც დასტურდება მისი

სამეცნიერო, პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობით. იგი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობს 1970 წლიდან და ამ პერიოდში დაიკავა თანამდებობები ლექტორიდან პროფესორამდე; აღნიშნულ პერიოდში მას ეკავა უმცროსი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ლაბორანტის, უფროსი ლაბორანტის, უფროსი მასწავლებლისა და ასოცირებული პროფესორის პოზიციები ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე. იგი არის ერთი სახელმძღვანელოს, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 23 სტატიისა და 14 კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებების ავტორი. მიღებული აქვს 8 სერტიფიკატი და განახორციელა 1 გრანტი.

პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოვლინდა მისი აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავებასა და მის წარმატებით განხორციელებაში სოხუმის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამა უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია მათ ფუნქციურ მოვალეობებთან, რაც უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

პროგრამის დანართებში წარმოდგენილია თითოეული თანამშრომლის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სამეცნიერო პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, გამოგონებები და სხვა შესაბამისი მასალები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)

პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**23**	**17**	**17**	**17**
- პროფესორი	10	8	8	8
- ასოცირებული პროფესორი	4	2	2	2
- ასისტენტ–პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	1	1	1	1
მოწვეული პერსონალი	5	4	4	0
სამეცნიერო პერსონალი	1	1	0	0

მაგისტრატურის პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, რაც დასტურდება მისი სამეცნიერო, პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობით. იგი ორი გამოგონების ავტორია. მას გამოქვეყნებული აქვს 19 სამეცნიერო ნაშრომი, ერთი მონოგრაფია და შემუშავებული აქვს ათი ინოვაცია, რომლებიც დანერგილია საწარმოო გარემოში. 1995 წლიდან პროგრამის ხელმძღვანელი მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2010 წლიდან ასრულებს უნივერსიტეტის სურსათის ტექნოლოგიის (მაგისტრატურისა და სადოქტორო) პროგრამების ხელმძღვანელის ფუნქციას და ფლობს სრული პროფესორის აკადემიურ წოდებას. იგი წარმოადგენს პრაქტიკოს ლექტორს და ფლობს მყარ ცოდნას საწარმოო პროცესების პროექტირების, მანქანათმშენებლობისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროებში.

პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოვლინდა მისი აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავებასა და მის წარმატებით განხორციელებაში სოხუმის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამა უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია მათ ფუნქციურ მოვალეობებთან, რაც უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

პროგრამის დანართებში წარმოდგენილია თითოეული თანამშრომლის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სამეცნიერო პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, გამოგონებები და სხვა შესაბამისი მასალები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**15**	**13**	**13**	**5**
- პროფესორი	5	4	4	5
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	9	9	5	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის ეფექტიანი განვითარება-განხორციელებისთვის საჭირო ცოდნას, გამოცდილებას, უნარებსა და კომპეტენციებს. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის შემუშავების, შეფასების, გაუმჯობესებისა და განხორციელების პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი,

ფლობს პროფესორის აკადემიურ წოდებას და გახლავთ სურსათის უსაფრთხოების დარგის ექსპერტი.

იგი უკვე 30 წელზე მეტია ეწევა აკადემიურ პედაგოგიურ საქმიანობას პროფესორის პოზიციაზე სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. იგი არის სურსათის უსაფრთხოების სფეროში მრავალი სახელმძღვანელო რეკომენდაციის ავტორი. არის სურსათის უსაფრთხოებისა და ხარისხის, სურსათის მიკრობიოლოგიისა და ფორტიფიკაციის სფეროებში 74 სამეცნიერო ნაშრომისა და სტატიის ავტორი. მან შეიმუშავა სასწავლო სილაბუსები და სალექციო კურსები საგნებისთვის „სურსათის სენსორული ანალიზი“, „სურსათის ხარისხის მართვა“ და „სურსათის საფრთხეები“' ასევე, უშუალოდ პასუხისმგებელია აღნიშნული საგნების სწავლებაზე.

მას გავლილი აქვს სურსათის უსაფრთხოების სფეროში ტრენინგები მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოში, ბელგიაში, სერბეთში, პოლონეთში, იტალიაში, ისრაელში, უნგრეთში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში. ამჟამად ის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტია, მათ შორის FAO-ს, UNICEF-ის, WHO-ს, ADB-ის, UNIDO-ს და სხვა.

ზემოაღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელს აკრედიტაციის პროცესში ინტერვიუებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო, შესაბამისად, მისი პოზიციის მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის ინტეგრირება ახალ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკულ და განხორციელების დონეზე, შეუძლებელი გახდა.

პროგრამის დანართებში წარმოდგენილია თითოეული თანამშრომლის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სამეცნიერო პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, გამოგონებები და სხვა შესაბამისი მასალები.

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალის მონაცემები ამ ეტაპზე არ ასახავს სოხუმის უნივერსიტეტის თანამშრომლებს. მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, ისინი ტექნიკურ უნივერსიტეტს წარმოადგენენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები, დიპლომები და პუბლიკაციების სია
- აკადემიური, მოწვეული პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- უნივერსიტეტის წესდება

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (დანართი)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს, დააზუსტოს და ოფიციალურად დაადასტუროს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მონაცემები სამუშაო დატვირთვის განაწილების, აფილირების და პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პერსონალის აკადემიური და პროფესიული პროფილის საგანმანათლებლო	

	პროგრამების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და მდგრადობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია

პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ინტერვიუს მსვლელობისას უნივერსიტეტის მხრიდან დადასტურდა, რომ თვითშეფასების ჯგუფს არ ჰქონდა შევსებული 4.2 კომპონენტი. თვითშეფასების ანგარიშში 4.2 კომპონენტი არ არის შევსებული, ასევე ცარიელია გაზიარებულ დოკუმენტაციაში არსებული მე-7 საქაღალდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან დაკავშირებული ცხრილების შევსება. კლასტერში შემავალი პროგრამები ახალია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამებზე სამაგისტრო ნაშრომები ჯერ არ დაცულა. მოცემულ ეტაპზე უნივერსიტეტს არ ჰყავს დანიშნული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები, ასევე არ წარმოუდგენია შეთანხმებები/ხელშეკრულებები სამაგისტრო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებთან.

შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტის შეფასება შესაძლებელია დაეფუძნოს მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ ჩარჩოსა და ზოგად დოკუმენტაციას და არა რეალური განხორციელების დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიღებულ „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და

განვითარების მეთოდოლოგიას. აღნიშნული დოკუმენტის მე-8 დანართი მკაფიოდ განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომების მომზადების, ხელმძღვანელობის, შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელ პროცედურებს. მეთოდოლოგიის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების ან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას და დასაქმებულია სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე განიხილა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედი სხვა სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშები. აღნიშნულ განხილვაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც გამჭვირვალეა და, ზოგადად, შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოლოდინებსა და აკადემიურ სტანდარტებს. მარეგულირებელი ჩარჩო ითვალისწინებს ხელმძღვანელების დანიშვნას მათი აკადემიური კვალიფიკაციის, კვლევითი გამოცდილებისა და შესაბამის სფეროში არსებული კომპეტენციის/ექსპერტიზის საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, კვლავ გაურკვეველი რჩება, თუ ვინ იქნებიან დანიშნულნი კლასტერში შემავალი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებად. პერსონალის შერჩევის მიმდინარე პროცესისა და პროგრამების საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოტანის (ტრანსფერის) გამო, უნივერსიტეტმა ვერ შეძლო ხელმძღვანელების საბოლოო სიის წარმოდგენა ან პროგრამების განხორციელებაში მათი ოფიციალური ჩართულობის დემონსტრირება. შედეგად, შეფასების მომენტისთვის ვერ მოხერხდა იმის სრულყოფილად გადამოწმება, ხელმისაწვდომია თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელთა პერსონალი და არსებობს თუ არა საკმარისი შესაძლებლობა (შესაძლებლობების რესურსი) სასურსათო ტექნოლოგიისა და სურსათის უვნებლობის მიმართულებებზე სამაგისტრო ნაშრომების ეფექტიანი ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის მარეგულირებელი ინსტიტუციური რეგულაციები, ზოგადად, სათანადოა და შეესაბამება აკადემიურ სტანდარტებს, შეფასებული პროგრამების ფარგლებში ხელმძღვანელობის პრაქტიკული მხარე არ არის საკმარისად დადასტურებული მტკიცებულებებით და საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას.

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER),

თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**15**	**15**	**3**
- პროფესორი	9	9	3
- ასოცირებული პროფესორი	3	3	0
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	0
მოწვეული პერსონალი	0	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0	0	0

(სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)

[6] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [7]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**11**	**11**	**6**
- პროფესორი	5	9	4
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	5	5	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუები

[7] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:		
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)		
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)		
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის განსაზღვროს და ფორმალურად დანიშნოს კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები და პროგრამების განხორციელებამდე მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მონაცემები მათი აკადემიური კვალიფიკაციის, კვლევითი გამოცდილების და ხელმისაწვდომობის შესახებ. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დადგენილი რეგულაციების და აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს	.

	ხელმძღვანელების საკმარისი რაოდენობა პროგრამების კვლევითი კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომების წარმატებით შესრულების მხარდასაჭერად.	
პროგრამა (სახელწოდება, საფეხური) 4	რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის განსაზღვროს და ფორმალურად დანიშნოს კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები და პროგრამების განხორციელებამდე მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მონაცემები მათი აკადემიური კვალიფიკაციის, კვლევითი გამოცდილების და ხელმისაწვდომობის შესახებ. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დადგენილი რეგულაციების და აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს ხელმძღვანელების საკმარისი რაოდენობა პროგრამების კვლევითი კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომების წარმატებით შესრულების მხარდასაჭერად.	

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და	**შეფასება**

დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	- აირჩიეთ
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური)	- აირჩიეთ
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს შეხვედრა გაიმართა კლასტერული პროგრამების ხელმძღვანელებთან და სასწავლო პროგრამების ავტორებთან. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული პროგრამების სოხუმის უნივერსიტეტში ინტეგრაციის პარალელურად, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის კონკურსი გამოაცხადა. კონკურსი დასრულდა მიმდინარე აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში და მისი შედეგები პირდაპირ ინტერვიუების მსვლელობისას გახდა ცნობილი. ადმინისტრაციამ გააზიარა ბრძანების დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა შერჩეული აკადემიური პერსონალის სიას. გასაუბრებაზე დამსწრე ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეულმა თანამშრომლებმა გასაუბრების დღესვე მიიღეს ინფორმაცია, რომ მათ წარმატებით გაიარეს კონკურსი და შეირჩეოდნენ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. გასაუბრებების ჩატარების დროს ისინი ნაკლებად იცნობდნენ სოხუმის უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებსა და იმ სერვისებს, რომლებიც აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას უწყობს ხელს. რეკომენდებულია, ხელშეკრულებების ხელმოწერის გზით, თანამშრომლობის მექანიზმების დადასტურება, როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან.

ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მომსახურების ხარისხი და წარდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესისა და აქტივობების განხორციელების უზრუნველყოფას. სტრუქტურულ ერთეულებსა და საშტატო განრიგს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესისა და ზოგადად უნივერსიტეტის ეფექტურ მართვას. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მოწვეული მასწავლებლებისა და სტუდენტების ეთიკის კოდექსი. უნივერსიტეტმა შეიმუშავა მისია და წესდება, რომელიც აცხადებს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვას, განათლების მიღებასა და გავრცელებას, ასევე უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული საუნივერსიტეტო განათლების უზრუნველყოფას. უნივერსიტეტის ხარისხის ცენტრი რეგულარულად აფასებს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. აკადემიური პერსონალი, მათი სამეცნიერო/პედაგოგიური საქმიანობის შესახებ, ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს, რომელიც იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიაში, საიდანაც ისინი იღებენ შეფასებებს. თუმცა, ხარისხისა და კარიერული განვითარების სამსახურები ასევე ამოწმებენ აღნიშნულ ანგარიშებს. ტარდება კვარტალური გამოკითხვები; ფასდება საგანმანათლებლო პროცესი, ანალიზდება საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები, მუშავდება და პრაქტიკაში ხორციელდება შედეგები, იქმნება რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით; უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის (ტრენინგი, სემინარები და ა.შ.). თუმცა, ამ ეტაპზე, ეს თანხები განკუთვნილია არსებული და არა ახლად შერჩეული აკადემიური პერსონალისთვის, კონკურსის ახლად დამთავრების მიზეზით; ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ხსენებული განვითარების ტრენინგები და სერვისები ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. უნივერსიტეტის წესდება აკადემიური პერსონალისთვის ითვალისწინებს 6-თვიან კვლევით/სამეცნიერო შვებულებას (5 წელიწადში ერთხელ) სრული ხელფასის შენარჩუნებით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის წესდება;

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა;

პროგრამის ბიუჯეტი;

პერსონალის პირადი საქმეები (CV-ები);

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია.

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაცი(ები)ა</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**<u>რჩევ(ები)ა:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს და ოფიციალურად უზრუნველყოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და ხარისხის უზრუნველყოფის, პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების და მხარდამჭერ მექანიზმებში და ღონისძიებებში მათი სისტემატური მონაწილეობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აჩვენოს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს სათანადო ინფორმაციას	სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროფესიული განვითარების ღონისძიებების, ტრენინგების, კვლევითი მხარდაჭერის მექანიზმებისა და ინტერნაციონალიზაციის ინიციატივების თანაბარი ხელმისაწვდომობა კლასტერულ პროგრამებში ჩართული ახლად დაქირავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, რითაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტურ ინტეგრაციას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ სივრცეში.

	ინსტიტუციური რეგულაციების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების და პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო, VI დონე)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო, VI დონე)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო, VII დონე)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო, VII დონე)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შეფასება**
პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“)	მეტწილად შესაბამისობაშია

პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა „სურსათის უვნებლობა")	მეტწილად შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო- კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

2025 წლის მდგომარეობით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული საკუთრების

უფლებით ფლობს ორ სასწავლო კორპუსს (თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №61 და პოლიტკოვსკაიას ქ. №26), რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით. უძრავი ქონება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და მინიჭებული აქვს საკადასტრო კოდები (01.14.05.005.003 და 01.14.05.005.134).

ამჟამად, აუდიტორიების რაოდენობა სტუდენტთა არსებულ კონტინგენტთან მიმართებით საკმარისია. თუმცა, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით გამოწვეული სტუდენტთა კონტინგენტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზრდა, რაც უმეტესწილად აისახება პოლიტკოვსკაიას ქუჩის №26-ში მდებარე კორპუსზე. ამჟამად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხება დაახლოებით 3 600 სტუდენტი, ხოლო ორივე კორპუსში არსებული აუდიტორიების საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 200-ს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობის მოსალოდნელი ზრდა და განახორციელოს ინფრასტრუქტურის აუცილებელი ოპტიმიზაცია.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები ფუნქციონირებს ორივე სასწავლო კორპუსში. აღნიშნული ბიბლიოთეკები მოიცავს სამკითხველო დარბაზებს (84 ადგილი პოლიტკოვსკაიას ქ. №26-ში და 50 ადგილი პოლიტკოვსკაიას ქ. №61-ში), წიგნსაცავებს, პერსონალის სამუშაო სივრცეებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ ზონებსა და შეხვედრებისა თუ ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილ სივრცეებს.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამკითხველო დარბაზები მოწყობილია ორივე სასწავლო კორპუსის (პოლიტკოვსკაიას ქ. №26 და №61) პირველ სართულზე, სადაც ასევე ხელმისაწვდომია თავისუფალი დაშვების კომპიუტერული სივრცეები. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გამოყოფილია ინტერნეტით აღჭურვილი ცალკეული სივრცეები. უსადენო ინტერნეტი ხელმისაწვდომია მთელ შენობაში, ხოლო

მომხმარებლებს აქვთ წვდომა ბეჭდვის, ქსეროასლის გადაღებისა და სკანირების სერვისებზე.

კლასტერში შემავალი პროგრამები ახალია უნივერსიტეტისთვის, რის გამოც ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ არ ფლობს შესაბამის ლიტერატურას, რაც აუცილებელია სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსებზე დროული და მაღალხარისხიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტი, მისი ბიბლიოთეკისა და ლაბორატორიების ჩათვლით, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას, თუმცა აკადემიური ლიტერატურის ძირითადი ფონდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაა. შესაბამისად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს არ ექნებათ პირდაპირი წვდომა აღნიშნულ ფონდზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა შეიძინოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა და ხელმისაწვდომი გახადოს იგი საკუთარი საბიბლიოთეკო რესურსების მეშვეობით.

უნივერსიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „პლანეტა ფორტესთან“ გაზეთებისა და ჟურნალების მოწოდების თაობაზე, რაც უზრუნველყოფს პერიოდული გამოცემების ხელმისაწვდომობას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ინოვაციური სისტემების მენეჯმენტთან“, რომლის ფარგლებშიც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საბიბლიოთეკო ქსელში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს შიდასაუნივერსიტეტო მართვის სისტემა „ელგონს“, რომელიც ემსახურება სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს. სისტემა „ელგონი“ მოიცავს შემდეგ ფუნქციებსა და მოდულებს:

- აკადემიური პროცესების მართვის მოდული;
- აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის მოდული;
- სტუდენტთა ფინანსური მართვის მოდული;
- საქმისწარმოების/კანცელარიის მართვის მოდული (დოკუმენტბრუნვის მართვა).

უნივერსიტეტში ასევე დანერგილია ელექტრონული სისტემა „StudLab“, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა საუნივერსიტეტო რესურსების ელექტრონულ მართვას. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, www.sou.edu.ge, ასრულებს როგორც საკომუნიკაციო, ისე ინფორმაციის გავრცელების ფუნქციებს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფლობს შემდეგ ლაბორატორიულ ინფრასტრუქტურას: ორგანული და ფიზიკური ქიმიის ლაბორატორია, არაორგანული და ანალიტიკური ქიმიის ლაბორატორია, ფარმაციის ლაბორატორია, ეკოლოგიის ლაბორატორია, ბიოლოგიის ლაბორატორია, მიკრობიოლოგიის ლაბორატორია და სადემონსტრაციო ოთახი. აღნიშნული ლაბორატორიები საკმარისია პირველი კურსის სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. თუმცა, სწავლების შემდგომ ეტაპებზე საჭირო გახდება უფრო თანამედროვე ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტზე ამჟამად არსებული ბაზის ანალოგიური იქნება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება ორი კორპუსი, სადაც საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ხუთ ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 1 070 აქტიურ სტუდენტს. მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი დანერგავს 21 დამატებით საგანმანათლებლო პროგრამას (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე). გარდა ამისა, განსახილველი კლასტერის ფარგლებში, რვა პროგრამაზე პირველკურსელთა მიღების კვოტა უკვე განსაზღვრულია და შეადგენს 570 ადგილს. ინტერვიუების მსვლელობისას

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურაში იგეგმება ახალი ფაკულტეტის დაფუძნება, სავარაუდო სახელწოდებით — აგროტექნოლოგიების, სასურსათო და გარემოსდაცვითი მეცნიერებების ფაკულტეტი.

ლექციების განრიგი გულდასმით უნდა დაიგეგმოს და დოკუმენტურად გაფორმდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, როგორც აქტიური სტატუსის მქონე, ისე 2026–2027 სასწავლო წლებში ჩარიცხული სტუდენტების ხელმისაწვდომობა შესაბამის სასწავლო გარემოზე. ყურადღება უნდა გამახვილდეს აუდიტორიების ტევადობისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს სათანადო სასწავლო სივრცეების არსებობას და სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, მიიღონ უმაღლესი განათლება დადგენილი ხარისხის სტანდარტების დაცვით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (ს/კ 01.14.05.005.003; ს/კ 01.14.05.005.134);
- ადგილზე ვიზიტი;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა; საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება;
- კომპიუტერული კლასები;
- შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.sou.edu.ge

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცი(ები)ა** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, ლექციების განრიგი განისაზღვროს და ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ 2026 - 2027 წლებში ჩარიცხულმა აქტიურმა და მოქმედმა სტუდენტებმა შეძლონ ლექციებზე დასწრება შესაბამის სასწავლო გარემოში. რეკომენდებულია, სწორად განისაზღვროს აუდიტორიების და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა, რაც მათ სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. (**4.4**) რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა 2027 წლის შესყიდვების გეგმაში ასახოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი ლიტერატურის, მათ შორის ონლაინ რესურსების შესყიდვა.	

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო, VI დონე)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო, VI დონე)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო, VII დონე)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო, VII დონე)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების დაფინანსების სისტემა მთლიანად იცვლება და ისინი სრულად დაფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ. აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამები ყველაზე ძვირადღირებულთა შორისაა, რაც მოითხოვს დიდ ხარჯებს ლაბორატორიული და ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და ფართების შესასყიდად/განსაახლებლად. მიუხედავად იმისა, რომ 2027 სასწავლო წელს უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში მხოლოდ პირველი კურსის სტუდენტები ისწავლიან, მომდევნო სასწავლო წლებში უნივერსიტეტს დასჭირდება ლაბორატორიული მუშაობისა და პრაქტიკული სწავლების დეტალური საჭიროებების განსაზღვრა, რომლისთვისაც გამოყოფილი მიზნობრივი ბიუჯეტი უნდა იყოს დეტალური და თემატური.

აკრედიტაციის პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტები, რომლებიც მხოლოდ ხარჯებს ასახავს და არა დაფინანსებას, ეჭვქვეშ აყენებს კლასტერში შემავალი პროგრამების მდგრადობას. **რეკომენდებულია, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მოლაპარაკების ფარგლებში დაზუსტდეს კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიმდინარე სრული ბიუჯეტი და შემუშავდეს თითოეული პროგრამის და კლასტერის განვითარების და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმების სტრატეგია.**

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ანალიზი;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცი(ები)ა** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მოლაპარაკების ფარგლებში დაზუსტდეს კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიმდინარე სრული ბიუჯეტი და შემუშავდეს თითოეული პროგრამის და კლასტერის განვითარების და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმების სტრატეგია.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო, VI დონე)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო, VI დონე)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო, VII დონე)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო, VII დონე)		

შეფასება

კომპონენტი 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 20 აპრილს დამტკიცებული დოკუმენტით „სწავლების ხარისხის

განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და ინტერვიუების შედეგები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების პროცესების, კვლევითი საქმიანობისა და ინსტიტუციური რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ინტეგრირებულია უნივერსიტეტის მართვის პროცესში და დაკავშირებულია ინსტიტუციის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და ოპერაციულ პოლიტიკასთან.

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების შესახებ არსებული რეგულაციები აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესების, სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს როგორც თვითშეფასების კომპონენტს, ასევე გამოკითხვებს, კითხვარებს და გარე შეფასებებს. ამავდროულად, პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და მათი მოსაზრებებისა თუ დამოკიდებულებების კვლევა.

ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან და ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. პროგრამის შემუშავების პროცესში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად, ასევე ჩართულნი არიან სხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სსუ) არსებული წესებისა და პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისევე როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან როგორც საუნივერსიტეტო, ისე ფაკულტეტის დონეზე, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების ეტაპებზე, და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამების გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, შეასრულე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. ხარისხის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესია და მასში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებია დანერგილი. PDCA ციკლის ფარგლებში, პირველი ეტაპი მოიცავს შეფასების პროცესების დაგეგმვას, შეფასების კრიტერიუმების, ინდიკატორებისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას. შემდეგი ეტაპი ორიენტირებულია დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე, რაც მოიცავს პროგრამის შეფასებას, სწავლა-სწავლების

პროცესის მონიტორინგს და სხვადასხვა გამოკითხვისა და კვლევის ჩატარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს, რაც სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ერთ-ერთ საკვანძო ინდიკატორს წარმოადგენს. შემოწმებისა და ანალიზის ეტაპზე უნივერსიტეტი აფასებს მიღებულ შედეგებს, ახდენს პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და აანალიზებს მათ გამომწვევ მიზეზებს.

ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. ეს რეკომენდაციები, შემდგომი განხილვისა და განვითარების აქტივობების დაგეგმვის მიზნით, წარედგინება აკადემიურ და ფაკულტეტის საბჭოებს. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს (https://www.sou.edu.ge/content/2/65/0/0/0), ასევე განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია საკონსულტაციო საქმიანობაში ფაკულტეტის ყველა სეგმენტისთვის, რათა საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სსუ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს შემდეგნაირად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრაცია ჩართულია სასწავლო პროცესის განხორციელების ყველა ეტაპზე, რაც მოიცავს დაგეგმვის, შესრულების, შემოწმების (უწყვეტი შეფასება, შედეგების ანალიზი) და განვითარების პრინციპს. ზოგადად, სასწავლო პროცესების შეფასება ხორციელდება რეგულარულად და მოიცავს თვითშეფასების პროცესის შედეგად გამოვლენილი კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მექანიზმების შემუშავებას. ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამების განხორციელების ეტაპზე, პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ფაკულტეტისა და საუნივერსიტეტო დონის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ისე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ დონეზე რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ჩატარდა გარდამავალი და განხორციელების პროცესების მხარდასაჭერად, არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურები ნაწილობრივ იქნა გამოყენებული კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ, რა მიზეზიც არის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმებით

გამოწვეული მოკლე ვადები. ინიცირებული რეფორმების ფარგლებში, კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები გადატანილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკმარისი დრო, რათა სრულად გაცნობოდნენ პროგრამის დაგეგმვასთან, შეფასებასთან, განვითარების პროცესებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. ინტერვიუების მონაწილეთა განცხადებით, ძირითადი გამოწვევები უკავშირდება შეზღუდულ ვადებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწრაფი გადასვლის პროცესს. ინტეგრაციის პროცესში პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან რამდენიმე შეხვედრა ჩატარდა, თუმცა ეს შეხვედრები ძირითადად ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ საკითხებზე იყო ფოკუსირებული. ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა სსუ-ის მართვის ქვეშ ადმინისტრაციული, მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების გასაერთიანებლად, ხოლო გარკვეული ადმინისტრაციული საკითხები ამჟამად დაზუსტებისა და დამტკიცების პროცესშია. რეკომენდებულია პროგრამის დაგეგმვასთან, შეფასებასთან, მონიტორინგსა და განვითარებასთან დაკავშირებული თანამშრომლობითი პროცესების ჩამოყალიბება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის სისტემატური სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების ორგანიზების გზით.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარების მიზნით, შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც რეგულარულად მართავდა შეხვედრებს და განიხილავდა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამები შემუშავდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის პრინციპების დაცვით. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტები (მათ შორის, მემორანდუმები, ბიუჯეტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გამოკითხვის შედეგები და სხვა დამხმარე მასალები) წარმოდგენილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით და მომზადებული იყო მისი ინსტიტუციური შაბლონების გამოყენებით. რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნივერსიტეტის სახელითა და ოფიციალური ფორმატით.

თვითშეფასების ჯგუფის თითოეულმა წევრმა, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში, იზრუნა გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებაზე. თუმცა გასაუმჯობესებელი სფეროები და გარკვეული გამოწვევები კვლავ რჩება (დეტალები

იხილეთ 1-4 სტანდარტების აღწერილობით ნაწილებში). რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამების შინაარსის, სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი ხელმისაწვდომი რესურსების შეფასებისას, უნივერსიტეტმა დანერგოს ნაკლოვანებების გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმი.

ელექტრონული/დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტმა მიიღო სასწავლო პროცესის სპეციალური რეგულაციები (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-608; 24.03.2020), რათა, დისტანციური/ჰიბრიდული სასწავლო პროცესისთვის, უზრუნველეყო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ადაპტაცია.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №05/01 - 20, 20.04.2012);

- სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თვითშეფასების ჯგუფის/სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმები (შესაბამისი პროგრამები);
- ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომების ოქმები (შესაბამისი პროგრამები);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - https://www.sou.edu.ge/home
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები;
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- დისტანციური/ელექტრონული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-608; 24.03.2020),
- სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;
- შესაბამისი პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვების ანალიზი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები შესაბამისი პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმომადგენლებთან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცი(ები)ა** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის	სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატაროს

	ინსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და ოფიციალურად დამტკიცების პროცესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის შინაარსთან, სასწავლო რესურსებთან, კადრებით დაკომპლექტებასთან, ინფრასტრუქტურასთან და განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებული ხარვეზების სისტემატური და დროული გამოვლენა, ანალიზი და აღმოფხვრა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს მკაფიო მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული თანამშრომლობის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ და მდგრად გადაცემას და განხორციელებას.	სისტემატური სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები და ტერნინგები, რაც გააძლიერებს ხარისხის კულტურას, ინსტიტუციურ რეგულაციებს, ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაცნობას და პროგრამის დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში მათ აქტიურ მონაწილეობას.
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)		

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებს წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი პერიოდულად, დადგენილ ვადებსა და ფორმებში, თვითშეფასების ანგარიშის სახით წარუდგენს ინფორმაციას თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში ექსპერტებისგან მიღებულ რეკომენდაციებს და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები შეაქვს. პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პერსონალი.

შეფასების გარე მექანიზმები ასევე მოიცავს კოლეგიალურ შეფასებასა (peer review) და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, მათ შორის, პარტნიორი თუ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აზრს, რაც მიიღება სხვადასხვა გამოკითხვის ინსტრუმენტებისა და საკონსულტაციო პროცესების მეშვეობით. კლასტერში შემავალი პროგრამები შეფასდა დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალის მიერ, ხოლო ამ გარე შეფასებების შედეგები და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციის — „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“ — შესაბამისად, პროგრამების გარე კოლეგიალურ-განმავითარებელ შეფასებას ახორციელებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია დარგის პროფესიონალების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მაგალითად, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. ასევე გათვალისწინებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგები.

კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს აკრედიტაციის საბჭომ აკრედიტაცია მიანიჭა 2025 წლის ნოემბერში და აკრედიტაციის საბჭომ პროგრამებს შესასრულებელი რეკომენდაციები განუსაზღვრა. პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროგრამის

განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ბოლოდროინდელი ინსტიტუციური გადასვლისა და ადაპტაციისთვის ხელმისაწვდომი შეზღუდული ვადების გამო, მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკმარისი დრო წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ყველა რეკომენდაციისა თუ რჩევის განსახორციელებლად. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერ კიდევ არ წარუდგენია საგანმანათლებლო პროგრამები დარგის ექსპერტების მიერ გარე კოლეგიალური შეფასებისთვის.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გარე შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების (მაგალითად, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები) შესრულება. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების სისტემატური გარე კოლეგიური შეფასებების ჩატარება.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცი(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გარე შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების (მაგალითად, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები) შესრულება. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების სისტემატური გარე კოლეგიური შეფასებების ჩატარება.	
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)		
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)		
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 5.2.გარე ხარისხის შეფასება	შეფასება
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაში
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაში
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაში

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, შესაძლო ცვლილებების თაობაზე რჩევები და დასკვნები. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ამოწმებს

ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს (მათ შორის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალების ფიზიკურ მდგომარეობას, რაოდენობასა და სილაბუსებთან შესაბამისობას).

ყველა დაინტერესებული მხარისგან უკუკავშირის მიღებისა და ასევე სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. უნივერსიტეტი ასევე აანალიზებს კოლეგების მიერ სასწავლო პროცესზე/ლექციებზე დაკვირვების შედეგებს. გამოკითხვების ანალიზზე დაყრდნობით, სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს. უნივერსიტეტი ასევე აანალიზებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს და არსებულ პროგრამებს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან ადარებს. ამგვარი კომპლექსური მაჩვენებლების ანალიზზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობას და საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, პროგრამის პერსონალს სთავაზობს რეკომენდაციებსა და რჩევებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ეფექტიანობასა და კომპლექსურობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია გროვდება, მიღებული შედეგები და ანალიტიკური მიგნებები, პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში ჯერ კიდევ არ აისახება სისტემატურად ან სრულად. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა, არსებული მონიტორინგის მექანიზმების სრული სპექტრის გამოყენებით, განახორციელოს კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესი.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მასალებსა და ადგილზე ვიზიტისას ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება იმისა, რომ, საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების შესწავლის მიზნით, უნივერსიტეტი ატარებს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ გამოკითხვას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვებს, ისევე როგორც პერსონალის მიერ სწავლების შეფასების გამოკითხვებს, აღნიშნული კვლევები არ მოიცავს კითხვებს რესპონდენტებისგან კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესახებ უკუკავშირის მისაღებად. სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურის სტუდენტებმა ანონიმურად შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის და ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის უნივერსიტეტის სერვისებით კმაყოფილების კვლევების განხორციელება. მხოლოდ სამ პროგრამას ჰქონდა ბენჩმარკინგის ან ანალოგიური შედარებითი ანალიზის დოკუმენტაცია. რეკომენდებულია შედარებითი ანალიზის დოკუმენტების შემუშავება კლასტერში წარმოდგენილი ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

სამაგისტრო პროგრამებისთვის რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შექმნას და დანერგოს ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სამეცნიერო კომპონენტის ანონიმურ შეფასებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)

იხილეთ კლასტერის შეფასება

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შედარებითი ანალიზის დოკუმენტი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)

იხილეთ კლასტერის შეფასება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №05/01 - 20, 20.04.2012);

საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების მეთოდოლოგია;

სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების მეთოდოლოგია;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.sou.edu.ge/home ;

შესაბამისი პროგრამებისთვის შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია;

ადგილობრივ და უცხოურ ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი (სამაგისტრო პროგრამისთვის);

პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გარე შეფასების ანგარიშები;

შიდა შეფასების ანგარიშები;

დისტანციური/ელექტრონული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-608; 24.03.2020);

სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;

შესაბამისი პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვების ანალიზი;

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და დამსაქმებლებთან ჩატარებული გასაუბრებები;

შესაბამისი პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებები;

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცი(ები)ა** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი არსებული მონიტორინგის მექანიზმების სრული სპექტრის გამოყენებით. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის და ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის უნივერსიტეტის სერვისებით კმაყოფილების კვლევების განხორციელება.	

პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)	რეკომენდებულია, შემუშავდეს სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შედარებითი ანალიზის დოკუმენტი.	
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)		
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობის და სამეცნიერო კომპონენტის ანონიმური შეფასების ინსტრუმენტები	
პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობის და სამეცნიერო კომპონენტის ანონიმური შეფასების ინსტრუმენტები	

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სასურსათო ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, საბაკალავრო)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სასურსათო ტექნოლოგია, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია

პროგრამა 4 (სურსათის უვნებლობა, სამაგისტრო)	მეტწილად შესაბამისობაშია